გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№321 (380) 23-30 ივნისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## თამარ კიკნაძე: ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის

...ქვეყანას სჭირდება არაორდინარულად მოაზროვნე თავგანწირული პოლიტიკოსები, რომლებსაც კარგად ექნებათ გათვითცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, კეთილდღეობა და შემოსავლის წყარო კი არა, დიდი პასუხისმგებლობა და მძიმე ჯვარია...

...ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ძალიან განათლებული და საინტერესო ადამიანია, აქტუალური დღევანდელი ქართული პოლიტიკისთვის. მე გავეცანი მის პუბლიკაციებს და ვთვლი, რომ მისი პროგნოზები ახდა. ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის...

გვ. 3




გვ. 8

21-ე საუკუნის მონობა და ქართველები სტამბოლის "ბაზარზე" – საშინელი ისტორიები, რომლებიც სამუშაოს მაძიებელ ქართველებს თურქეთში გადახდენიათ



გვ. 4

## საგულედან ამოცლილი გულის მესამედი



გვ. 7

## შავ ზღვაში უმოწყალოდ ჩაკლულთა საქმე №...



## პოლიციის კაპიტან ეკა გიგაურის სასამართლო პერიპეტიები

გვ. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეცენზია იგორ კეკელიას სადისერტაციო ნაშრომზე „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“

საკვალიფიკაციო ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი სათანადო სამეცნიერო წყაროების ჩვენებები (ავტორები: ლორთქიფანიძე, გამყრელიძე, გვანცელაძე, მუსხელიშვილი, კახაძე, ბერაძე და სხვ.). სწორედ ამ მკვლევართა ნაშრომების მონაცემებზე ყურადღების გამახვილებით დისერტანტი ადგენს ვახუშტის მონაცემთა სიზუსტესა და უზუსტობას (დისერტაციის მთავარი მიზანიც ხომ ესაა?!).

ფაქტია, რომ აფხაზებმა 1681 წლისათვის შეძლეს ოდიშის სამთავროს ჩრდ-დას. ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადმოწევა კელასურიდან ღალიძგამდე, ხოლო შემდეგ – ენგურამდე.

მეხუთე თავის მეორე ქვეთავი (გვ. 184-198) განიხილავს ვახუშტისეულ მონაცემებს **„დადისწყლისა“** და **„ეგრისწყლის“** ხეობებთან დაკავშირებით: **„ამ ეგურის ჩრდილოთ დის დადისწყალი, წოდებული დადის დაბის გამო... მიერთვის ზღუას. ამ დადისწყლის ჩრდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო... და მიერთვის ზღვას ილორს. ამ წყლის დასავლით კიდეზედ არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა“**. როგორც ი. კეკელია აღნიშნავს, მდ. დადისწყალი ვახუშტის რუკაზეც კი არის დატანილი, მაგრამ დაბა **დადი** არსად ჩანს. მდ. დადისწყალი და დაბა დადი ენგურ-ღალიძგას შორის დღესაც არ დასტურდება. მკვლევართა მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ი. კეკელია ასკვნის: დადისწყალში ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო ეგრისწყალი ანარიაოხურეიწყალის ან ღალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო (გვ. 187). სხვა წყაროებში აღნიშნულია, რომ, ფაქტობრივად, ესაა მდინარე ღალიძგა: ილორთან სწორედ იგი ერთვის შავ ზღვას. ვახუშტის ცნობით კი ილორი მდინარის მარჯვ. მხარესაა. მაშასადამე, ეგრისწყალი იგივე ღალიძგაა. საერთოდ კი, დისერტანტი დაწვრილებით განიხილავს დიდძალი წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებებს და აზუსტებს მრავალ ვახუშტისეულ უზუსტობას.

მოქვისა და კოდორის ხეობებთან (გვ. 199-208) დაკავშირებით ვახუშტი აღნიშნავს, რომ მოქვი (//მოქუ) მდინარეა ეგრისის მდინარის **„დასავლით“** და ერთვის ზღვას ილორთან. მოქვში არის **„ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები“** და აქ ზის ეპისკოპოსი **„მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილსა“**. ი. კეკელია სამართლიანად აღნიშნავს, რომ მდინარის დინების მიმართულება ვახუშტის არასწორად აქვს მითითებული. ტოპონიმი მოქვი არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროშია დამოწმებული და დისერტანტი თითოეულ მათგანზე დაწვრილებით მოგვითხრობს. მეტად მნიშვნელოვანია ფრანგი მისიონერის ლუი გრანჟიეს შენიშვნა, რომ მოქვის მცხოვრებნი მეგრელები არიან, ხოლო მოქვის ღვთისმშობლის ხატის კარედზე ქართული ასომთავრული წარწერაა... ი. კეკელია აღნიშნავს იმ უზუსტობებს, რომლებიც დაშვებულია ვახუშტის **„აღწერაში“**, მაგალითად, დასახლებული პუნქტი მოქვი მდებარეობს ვაკეზე და არა მთაში, ხოლო მდინარე მოქვი კი ზღვას მიერთვის არა ილორში, არამედ მისგან რამდენიმე კმ-ის დაშორებით. დისერტაციაში მოცემულია სამპუნქტიანი დასკვნა ვახუშტის შეცდომებისა მოქვის, კოდორისა და დრანდის რეგიონების აღწერილობაში (გვ. 204).

კელასურის კედლის, ანუ **„აფხაზეთის დიდი კედლის“**, აგების საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა წყაროებსა და სამეცნიერო გამოკვლევებზე დაყრდნობით ირწმუნებოდნენ, რომ იგი ლევან II დადიანმა ააშენა. მაგრამ საბოლოოდ დადგინდა, რომ კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა შემოსევებისაგან თავდასაცავად, ხოლო ლევან II დადიანმა, როგორც ჩანს, აქა-იქ გაამაგრა იგი.

სადისერტაციო ნაშრომის V თავის მეხუთე ქვეთავი ასეა დასათაურებული: **„საკუთრივ აფხაზეთი“** (გვ. 215-224). აქ დისერტანტი გვამცნობს ვახუშტისეულ მოსაზრებას ალაცოსწყალზე, ზუფუზე, მუწისწყალზე, ბიჭვინთაზე, კაპეტის მდინარეზე. ამ ტოპონიმებთან დაკავშირებით ი. კეკელია ასახელებს ყველა სამეცნიერო გამოკვლევასა თუ მოგზაურთა ჩანაწერებს და განსაკუთრებული სიფრთხილით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას:

1. ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომ ვახუშტის **ალაცოსწყალი** უნდა იყოს დღევანდელი გუმსთა//გუმისთა, ნაკლებ დამაჯერებელია (გვ 216).

2. **„ქართველთ ცხოვრების“** მესამე ნაწილში (ნ. დადიანი) მემატიანე აღნიშნავს, **„ჩვენ წავედით ზუფუს და რა მივედით სასახლესა შინა შერვაშიძეთა და დავებანაკეთ და მოვიდნენ ყოველნი ზუფუელნი“**. დისერტანტი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: **„თხზულების ავტორი თვითონ იყო ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე და მეთაური და ბუნებრივია, მისი ცნობები ზუფუს შესახებ სანდოობას იმსახურებს“** (გვ. 218).

3. მუწისწყლის (დღევანდელი მჭიშთა) რეალურობა და ლოკალიზაცია ეჭვს არ იწვევს.

4. ვახუშტის ორი დებულება ასეთია: ა. სიმონ კანანელი დაკრძალულია ბიჭვინთაში; ბ. ბიჭვინთა და ნიკოფსია ერთი და იგივე პუნქტია. ორივე ეს მოსაზრება უარყოფილია. ქართულ **ბიჭვინთას** (< ქართ. ფიჭვი), როგორც ადგილის სახელწოდებას, რამდენიმე პარალელი მოეპოვება სხვადასხვა ენებზე დაწერილ აღწერებსა და გამოკვლევებში (პიტიუნტა, პიცუნდა, პეცონდა, ბეზონტა და სხვა).

5. ვახუშტი ბაგრატიონის უზუსტობათა „ჩემპიონია“ **„აღწერისა“** და რუკის **„კაპეტის მდინარე“**. ამ სახელწოდებას დღემდე არ მოუღწევია. დასახელებულია რამდენიმე ვარიანტი: გიულდენშტედტი ამ მდინარეს მოიხსენიებს როგორც **„კაბეთს“**, ხოლო აიხვალდი – როგორც **„ხანიტას“** ან **„ხაპეტის წყალს“**. ნ. დადიანი სიტყვასიტყვით იმეორებს ვახუშტისეულ ლოკალიზაციას. დისერტანტის მტკიცებით, XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე გუმისთის მარჯვ. შენაკადს აწერია **„ხაბოტა“**, რაც სწორედ **„კაპოეტის წყლის“** ან **„ხაპეტის წყლის“** ვარიანტი უნდა იყოს (გვ. 223).

**ქვეთავი VI. ჯიქეთი (გვ. 224-231).**

ვახუშტის **„აღწერის“** თანახმად, ჯიქეთი **„კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე“** მდებარეობს და **„არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა“**. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ ჯიქეთის აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის ქედს გასდევდა. დაზუსტებულია, რომ ჯიქეთის მხოლოდ ერთი ნაწილი (ანაკოფიის მდინარესა და ნიკოფსიას შუა) შედიოდა აფხაზეთის საერისთავოში. საერთოდ კი, აფხაზები და ჯიქები ერთი მოდგმის ხალხად ითვლება. ბოლოს ჯიქეთი აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში ხვდება და შარვაშიძეებს ემორჩილება. როგორც ცნობილია, ჯიქები ძალადობით მკვიდრდებოდნენ აფხაზების ზღვისპირა ტერიტორიაზე. ჩვენი დასკვნა ასეთია: ი. კეკელიას სადისერტაციო ნაშრომის ის ნაწილი, რომელსაც ჯიქეთი ეწოდება, დეტალურად მოგვითხრობს ჯიქების თავდაპირველ საცხოვრისზე, აფხაზეთში მათს დამკვიდრებასა და ოდიშის დადიანების მათთან დამოკიდებულებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში აფხაზეთის **ალანეთს** ცალკე ქვეთავი ეთმობა (გვ. 231-239). დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, აფხაზეთის **„ალანეთი“**, იგივე მისიმიანეთი, კოდორის ზემო წელზე, ე.ი. დალის ხეობაში მდებარეობს. თუმცა ალანებს შუა საუკუნეებში ყუბანისა და მისი შენაკადების სათავეები ეკავათ. სხვა მოსაზრებით (ნ. აფხაზავა) ალანები კოდორის ხეობაში უნდა შემოსულიყვნენ I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულ-სვანურისა და ალანურის ენობრივი ურთიერთგავლენა სწორედ კოდორის ზემო წელზე უნდა მომხდარიყო. მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ ალანურ-ოსურისა და სვანურ-მეგრულის ენობრივი ინტერფერენცია ზემოთ აღნიშნული ტერიტორიული სიახლოვით უნდა აიხსნას. ვ. აბაევი გულდაჯერებული წერს, რომ მეგრელ-ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალი კოდორის ხეობაა. ეს კონტაქტი უნდა მომხდარიყო XIV ს-ში, როცა ყუბანის სათავესთან განსახლებულ ოსებს მეგრელებთან, სვანებთან და აფხაზებთან ურთიერთობა შეეძლოთ. ი. კეკელია სამართლიანად და დაბეჯითებით აღნიშნავს: **„კოდორის ხეობაში ალანთა მოსახლეობა ძნელი დასაჯერებელია“** (გვ. 237) და, საერთოდ, ეთნონიმი ალანი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს.

თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდ. კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი გარკვეულ პერიოდში საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებასაც ბევრი მკვლევარი არ იზიარებს. საქმე ისაა, რომ ისტორიულ წყაროებში ორი აფხაზეთი მოიხსენიება, ერთი – ჩრდ. კავკასიაში, მეორე – საქართველოში. აფხაზეთის ქალაქ სოხუმის სახელწოდება აყვაც (**„დამყაყებული წყალი“**) ჩრდ. კავკასიიდანაა გადმოტანილი. თ. გვანცელაძის დასკვნით, აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა 1561 წლის ახლო ხანებში ჯერ კიდევ ყუბანის აუზში ცხოვრობდა. ისინი ამის შემდგომ დამკვიდრებულან ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე და ქალაქ ცხუმისათვის შეურქმევიათ თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელი **აყვა**.

დისერტაციის ბოლო თავის ბოლო (მერვე) ქვეთავი ასეთია: **„ვახუშტი ბაგრატიონი და თანამედროვე აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები“** (გვ. 239-252). პ. ინგოროყვას დასკვნით, აფხაზეთის ტოპონიმია მესხური წარმომავლობისაა. ი. კეკელია კი ამის პასუხად აღნიშნავს: **„ვახუშტის ნააზრევში დასახელებული ტოპონიმების ეტიმოლოგია, შესაძლებელია, ქართველური ენების, კერძოდ მეგრულის მონაცემებით აიხსნას“** (გვ. 240). ეს ტოპონიმებია: ბედია, ზუფუ, ილორი, კაპოეტის წყალი, მოქვი, მუწისწყალი// მუწუსწყალი, ცხომი//ცხუმი//სოხუმი.

**ბედია** – ისტორიული წყაროების განმარტება ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიას ჰგავს: ამ ისტორიული პუნქტის სახელწოდებას უკავშირებს სიტყვას **„ბედი“**. ი. კეკელია ეყრდნობა ალ. ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში“** მოცემულ **„ბედი“** სიტყვის მნიშვნელობებს და წერს: **„შესაძლებელია, ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახელებული, ხატისთვის მიჩენილი ტყე ან მიწა“, და 2. „ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“** (გვ. 241).

**ზუფუ** – შარვაშიძეთა სამყოფელი, ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, სიტყვა ზუფ-//ზოფ- მეგრულ-ჭანურსა და სვანურში მოგვეპოვება და ნიშნავს თეთრწყალას. ი. კეკელიას მოჰყავს მკვლევართა განმარტებანი და გამოთქვამს ვარაუდს: „გამორიცხული არაა, რომ **„ზუფუწყალი“** მიუთითებდეს მდინარის დინებასა და უხვდებიტიანობაზე: **„ზუფუ – უხვად მდინარი“** (გვ. 242).

**ილორი** სოფელია შავი ზღვის ნაპირას, ღალიძგის მარცხ. მხარეს. ილორის სასწაულმოქმედ წმ. გიორგის ხატზე წერენ ევროპელი მისიონერებიც (ლამბერტი, შარდენი). პ. ინგოროყვას აზრით, **„ილორის“** მეორე კომპონენტია ქართული **ორ-ი**, მაგრამ არას ამბობს წინა ილ- კომპონენტზე. კ. ოკუჯავა ავითარებს ამ მოსაზრებას და დარწმუნებულია, რომ ილორი უნდა დარქმეოდა ადგილს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე საძვალე (სასაფლაო) იყო (საფუძველი: არნ. ჩიქობავას **„ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონის“** მიხედვით, „**ილ-** ძვალს ნიშნავს“). ი. კეკელია ეყრდნობა რა ალ. ქობალიას განმარტებებს (**ოლორე** – სამორე ტყე და **ოლორი//ოლორუე** – მორების დამზადების ადგილი, მორების დასაცურებელი მდინარე“), ასკვნის: **„შეგვიძლია, სოფლის სახელწოდება ილორი გავიაზროთ, როგორც „ლორის“ – მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოყენებული ფართო და სქელი ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თაროიანი ნიში“.**

ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე დატანილ ქორონიმთა, ოიკონიმთა თუ ჰიდრონიმთა შორის ყველაზე კურიოზულია **„კაპეტის მდინარე“**. იგი იწყება ფასის მთის დასავლეთით (ცხენისწყლის ზემოთი), გრძელდება ენგურისა და კოდორის სათავე ხეობებით, ხოლო შემდეგ გრძელდება დასავლეთით – მიჰყვება კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაწილს, გაივლის ალანეთს და დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში ერთვის შავ ზღვას. ქვემო წელი იდენტიფიცირებულია მდ. დასავლეთ გუმისთასთან. საისტორიო წყაროებში დასტურდება ვარიანტები: კაპეტი, კაპეტის წყალი, კაპოეტის წყალი. ამოსავალ ფუძეებად მიჩნეულია ქართველური სიტყვა **კაპოეტი** (ს.-საბას განმარტებით, ამ სიტყვას ოთხი მნიშვნელობა უჩანს: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. ფრინველი, წელიწადგამოვლილი; 3. ერთგვარი ბალახი; 4. ქვა კაპოეტი, ანუ ქვა პატიოსანი, იგივე ზურმუხტი), **კაბეტი** (მეგრ. **„მაგარი“**), **კაპეტი** (ალ. ქობალიას განმარტებით, კაპეტი გარეული მონადირე ფრინველიცაა და კალმახ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზიც). პ. ინგოროყვას მტკიცებით კი, **„კაპოეტი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში – კაპოეტის წყალში“**. ი. კეკელიას დასკვნა ასეთია: ჩვენი აზრით, არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას მსჯელობა იმაზე, რომ ჰიდრონიმს შეესაბამება მნიშვნელობა **„დიდი, მოზრდილი“** (გვ. 246).

**მოქვი** ეწოდება მდინარესაც და მდინარის ნაპირას მდებარე სოფელსაც. ვარიანტებია: მოქი, მოქუი, მოქვა. ამ სიტყვას თ. მიბჩუანი აკვშირებს სვანურ სიტყვასთან მუქვ **„მიწის ზვინი“**... დისერტანტი უპირატესობას ანიჭებს მეგრულ სიტყვას მოქუ **„რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“**, როგორც ამას განმარტავს ალ. ქობალია.

**მუწისწყალი//მუწუსწყალი** – ასე უწოდებს ვახუშტი მდინარეს, რომელიც მიედინება **„ზუფუს დასავლით“**. დღეს ამ მდინარეს ეწოდება მჭიშთა. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, მუწისწყალი გარკვეულ მანძილზე მიწის ქვეშ მიედინება. მაშასადამე, მდინარის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო **„მიწის წყალი“**, ანუ კარსტული მდინარე. ასეთივე თვალსაზრისი გამოთქვა პ. ინგოროყვამაც. დისერტანტი ალ. ქობალიას ლექსიკონზე დაყრდნობით, გვაწვდის ორ ვარაუდს: 1. მეგრული **მუნწუა//მუნჭუა** ნიშნავს **„ტუჩების მუწვას“**. ამ შემთხვევაში მუწისწყალი (< მუნწილწყალი) აღნიშნავს მდინარეს, რომელიც დახურულ სივრცეში მიედინება; 2. **„მუწისწყლისათვის“** ამოსავალი ჩანს სხვა მეგრული სიტყვები, კერძოდ: მურწა (თევზია ერთგვარი) და მუნწი//მუწი **„ლოფორთქინა, ლალის ჭია“** (გვ. 248-249).

დღევანდელი სოხუმ//სუხუმის თავდაპირველი ფორმა, საისტორიო წყაროების ჩვენების მიხედვით, არის ცხომი//ცხუმი. ცხუმისა და სოხუმის ეტიმოლოგიაზე მოსაზრება მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს, მათგან მთავარია: 1. ქალაქის თავდაპირველი სახელწოდებაა ცხუმი, რაც სვანურში რცხილას ნიშნავს (ბერძნულ წყაროებში აღნიშნულია, რომ კოლხეთში ცხოვრობენ **„სვანოკოლხოი“**). ცხომ//ცხუმ ფორმამ თურქულში მოგვცა სოხუმ//სუხუმი (არაბულ-სპარსულ-თურქული ფონეტიკის კანონებიდან გამომდინარე). 2. მეგრულში **cG** თელაა, ხოლო ხუმ – მშრალი, გამხმარი. ამაზეა დაფუძნებული დისერტანტის დასკვნა: **„ცG ხუმი//ცG ხომი უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა“** (გვ. 252). ჩვენი მოსაზრებით, ცხომი//ცხუმი სემანტიკით უფრო სვანურ რცხილას უნდა უკავშირდებოდეს.

ი. კეკელიას დისერტაციას აბოლოებს **„დასკვნები“** (გვ. 253-260), რომლებიც, რა თქმა უნდა, სადისერტაციო ნაშრომის ხუთივე თავში დასმულ საკითხებსა და მათ გარშემო გამოთქმული მოსაზრებების ანალიზს წარმოადგენს. ამ დასკვნების ჩვენეული სამმუხლიანი შეჯამება ასეთია:

1. სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნულია ყველა უზუსტობა, რაც კი შეეხება ტოპონიმთა ვახუშტისეულ ლოკალიზაციასა და ეტიმოლოგიას.

2. მოცემულია დღემდე არსებული ყველა საისტორიო წყაროსა და სამეცნიერო გამოკვლევის დეტალური, გულდასმითი, სკრუპულოზური ანალიზი და წარმოჩენილია ტოპონიმთა ლოკალიზაციასა თუ ეტიმოლოგიაზე გამოთქმული ყველა მოსაზრება.

3. ამა თუ იმ ტოპონიმის ლოკალიზაციასა თუ სახელდების მოტივზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიმართ ი. კეკელიას მიერ საკუთარი დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გამოხატვა და ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკუთარი მოსაზრებების ფორმულირება.

ჩემი, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტის, დასკვნა ასეთია: 1. ი. კეკელიას საკვალიფიკაციო ნაშრომში **„სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“** განხილულია ვახუშტისეული ყველა გეოგრაფიული სახელწოდების პრობლემური საკითხები; 2. თითოეულ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან დაკავშირებით სრულადაა წარმოდგენილი და შეფასებული ისტორიული წყაროებისა და მეცნიერული გამოკვლევების ჩვენებანი; 3. დაზუსტებულია გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლოკალიზაცია, შეფასებულია დღემდე არსებული ეტიმოლოგიური თვალსაზრისები და ჩამოყალიბებულია საკუთარი შეხედულებანი თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით.

**საბოლოო დასკვნა**: წარმოდგენილი საკვალიფიკაციო გამოკვლევა **„სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“** წარმოადგენს სრულყოფილ, შეიძლება ითქვას, საეტაპო ნაშრომს ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევის შესწავლა-შეფასების საქმეში და, აქედან გამომდინარე, მისი ავტორი იგორ კეკელია უყოყმანოდ იმსახურებს ისტორიის (დარგი//სპეციალობა – 10.04. ისტორია) აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

**პატიკო ცხადაია,**

***ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი***

***P.S. რა თქმა უნდა, დასახელებული სადისერტაციო ნაშრომის მაღალკვალიფიციურობა განპირობებულია როგორც დისერტანტის მონდომებითა და ნიჭიერებით, ისე სამეცნიერო ხელმძღვანელის – პროფესორ გიორგი მჭედლიძის – დაუშურველი კონტროლითა და მონდომებით.***

# თამარ კიკნაძე: ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის

გასული კვირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი **თამარ კიკნაძე** გვესაუბრება.

**– ქალბატონო თამარ, სააკაშვილი ოდესაში გუბერნატორად დანიშნეს. ბევრმა პოლიტოლოგმა და პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ სააკაშვილი ოდესაში "კარგი საქმის საკეთებლად" არ არის გამწესებული...**

– მიხეილ სააკაშვილი გლობალური მოთამაშეა. ის არასოდეს ყოფილა ქართული ინტერესების გამტარებელი, რასაც საქართველოსთვის მძიმე შედეგი მოჰყვა. მას სამოქმედო არეალად საქართველო არ ჰყოფნიდა, ხან სი-ენ-ენ-ზე იყო გამოჭიმული, ხან ბი-ბი-სი-ზე, რითაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აღფრთოვანებას იწვევდა. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველო მსოფლიომ გაიცნო, იმას კი ვერ ათვითცნობიერებდნენ, რომ ამის მიზეზი ომი და ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული უბედურება იყო. ალბათ, მოისმინეთ სააკაშვილის ახლანდელი ინტერვიუც, რომელშიც იგი ამბობს, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ჭაობია...

დასავლეთში მიშასთვის თეორიაც კი შეიქმნა. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა პატარაა და მას დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებული ფუნქცია აქვს. ამ თეორიის თანახმად კი, ქვეყანა დიდია თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს – მთავარია, მას როგორი ლიდერი ჰყავს და მიშაც ისეთ ლიდერად იქნა მიჩნეული, რომელმაც თავის თავზე აიღო გლობალური ფუნქცია – რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. შედეგი კი ძალიან მძიმე აღმოჩნდა – დაღუპული ბიჭები, დე იურედ დაკარგული ტერიტორიები, ეკონომიკურად გაჩანაგებული ქვეყანა.

**– ასეთ მძიმე შედეგს ელოდებიან ოდესაშიც. ზოგმა ისიც კი თქვა, ოდესა რუსეთის ხელში აღმოჩნდებაო...**

– სააკაშვილი საქართველოს ინტერესებს რომ არ ატარებდა, ფაქტია; უკრაინაშიც იგივე მისია აქვს დაკისრებული. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური გარიგებები ხდება. ხომ დავინახეთ, საქართველოს მიმართ მხოლოდ აღშფოთდნენ და შეშფოთდნენ... საბოლოოდ, ყველაფერი ჩვენთვის წამგებიანად დამთავრდა. დღეს აფხაზეთსა და ოსეთზეც ცოტას ლაპარაკობენ და ყირიმის საკითხიც რიტორიკის დონეზეა.

**– ამბობენ, რომ ობამას ადმინისტრაციას არ მოსწონს სააკაშვილი და მისი ოდესაში გაგზავნაც, თავიდან მოშორების ტოლფასიაო...**

– ფაქტია, რომ მიშას გაცილებით უკეთესი ურთიერთობა აქვს რესპუბლიკელებთან, კერძოდ, სენატორ მაკკეინთან, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის დიდი სხვაობა არ არის.

ოდესაში სააკაშვილის გაგზავნით მისი დევნის საკითხი წყდება. მიშას ველარ დაიჭერენ, რადგან ის უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეა და თანამდებობის პირი, მგონი, ამით ჩვენმა ხელისუფლებამაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, როგორც იურისტები აღნიშნავენ, ეს ვერ იხსნის მას ჰააგის სასამართლოსგან.

**– უნდა შეწყდეს თუ არა იმ ქვეყანასთან ურთიერთობა, რომელიც იფარავს, უფრო მეტიც, მაღალ თანამდებობაზე ნიშნავს პოლიტიკოსს, რომელსაც სამშობლოში დანაშაული აქვს ჩადენილი? საქართველოს უკრაინიდან ელჩი არ უნდა გამოეწვია?**

– რა თქმა უნდა, რაც დღეს ხდება, საქართველოსთვის დამამცირებელია – სამშობლოში ძებნილი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში გუბერნატორად ინიშნება. რაც შეეხება საქართველოს დემარშს, საქართველო დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის და იგი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს დასავლეთის აზრს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის უსუსური განცხადებები, რომელთაც პოლიტიკოსები აკეთებენ.

**– "ნაციონალებში" რღვევა დაიწყო. რა პროცესები მიმდინარეობს?**

– მათ, როგორც ჩანს, შიგა დაპირისპირებები აქვთ, რაც ბუნებრივია. თუმცა პარტიიდან წასული ადამიანები, მაინც რჩებიან ერთი იდეოლოგიის გამტარებლად, ამიტომ სად გადაინაცვლებენ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ალბათ, მარტივ მამრავლებად დაიშლებიან. ზურაბ ჯაფარიძე ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურ გადაადგილებებს უნდა ველოდოთ. ლაპარაკი დაიწყო საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზეც.

დღეს ხალხის დაკვეთაა, ახალი, პოზიტიური და კონსტრუქციული ძალა შემოვიდეს პოლიტიკურ ველზე, მაგრამ ამის საშუალებას პოლიტიკური ბაზარი არ იძლევა. იგი ჩაკეტილია და კონტროლდება. ქვეყანას სჭირდება არაორდინარულად მოაზროვნე თავგანწირული პოლიტიკოსები, რომლებსაც კარგად ექნებათ გათვითცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, კეთილდღეობა და შემოსავლის წყარო კი არა, დიდი პასუხისმგებლობა და მძიმე ჯვარია.

**– რა შეიძლება ვუწოდოთ დღეს საქართველოს?**

– საქართველოს სახელმწიფოს ნიშნები აქვს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო, ბოლომდე შემდგარი არ არის. მაგალითად, არ ჰყავს მიუკერძოებელი, ძლიერი ბიუროკრატია, რომელიც აპოლიტიკური იქნება, ქვეყნის ინტერესებს გაატარებს და დაიცავს მას პოპულისტი პოლიტიკოსების წინდაუხედავი ნაბიჯებისგან. ქვეყანა საკუთარ ინტერესებზე აგებულ დაბალანსებულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, მაგრამ ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს.

**– დავუბრუნდეთ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას, რას მოუტანს ეს უკრაინელებს?**

– მიშა დესტრუქციული ადამიანია და ასეთია მისი პოლიტიკაც. დარწმუნებული ვარ, ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნა უკრაინელ ხალხს კარგს არაფერს მოუტანს. ოდესა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია და დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკას ესაზღვრება. ეს არის რუსეთისთვის ამ რესპუბლიკასთან დამაკავშირებელი ტერიტორია. კიევმა რუსებს საჰაერო გზა ჩაუკეტა... მიშას დანიშვნა შემთხვევითი არ არის. ამ რეგიონში სიტუაციის გართულებას უნდა ველოდოთ.

**– ქალბატონო თამარ, თვლით თუ არა, რომ ამერიკის დაკვეთით, ივანიშვილმა ლოკომოტივის როლი შეასრულა და ის პარტიები, რომლებსაც საკუთარი ძალებით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეეძლოთ, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა?**

– ამაზე ხშირად მიფიქრია. ანალოგიურად ფიქრობს და საუბრობს პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ბატონი ალექსანდრე ძალიან განათლებული და საინტერესო ადამიანია, აქტუალური დღევანდელი ქართული პოლიტიკისთვის. მე გავეცანი მის პუბლიკაციებს და ვთვლი, რომ მისი პროგნოზები ახდა. ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის.

**– რიგის სამიტის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ხელისუფლებას იმედგაცრუება ეტყობა, რადგან აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის გაზრდაზე დაიწყო საუბარი...**

– ფრთხილად, მაგრამ რაღაც კეთდება. ამ საკითხზე თვითონ "ოცნებაშიც" განსხვავებული მოსაზრებებია: მკვეთრად პროდასავლური ძალაა რესპუბლიკელები, რომლებიც ხელისუფლებაში საკვანძო პოსტებს იკავებენ, მაგრამ არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება.

**– რა პოზიციაზეა ივანიშვილი, რომელიც კარგა ხანია, არსად ჩანს, მას გადაცემებიც აღარ მიჰყავს.**

– ძალიან კარგი, თუ აღარ მიჰყავს, რადგან მისთვის ეს გადაცემა ძალიან წამგებიანი იყო...

ივანიშვილი თავისუფლად ვერ მოქმედებს, თავისი კაპიტალით ის ძლიერ არის დამოკიდებული გარკვეულ ძალებზე. სწორედ ამიტომ არ არის სასურველი ოლიქარგის პოლიტიკაში ყოფნა.

**– ქალბატონო თამარ, რას იტყვით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, რომელმაც მსოფლიოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია?**

– დიახ, ესეც პოლიტიკური პროცესია. როდესაც შეეცადნენ, პრობლემები შეექმნათ რუსეთისთვის 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გამო და სანქციები სპორტზეც გავრცელებულიყო, ფიფას პეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ ფეხბურთი სპორტია და და პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება, ამიტომ, ბუნებრივია, ბლატერსაც პრობლემები შეექმნა.

დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის ვექტორი, ძირითადად, რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. დღეს დასავლეთის მთავარი სამიზნე სწორედ რუსეთია, მანამდე იყო ირანი. დღეს ირანთან დაახლოების მცდელობას ვხედავთ. აშშ-ის ტრადიციული პარტნიორი ისრაელიც კი იწირება და ხდება მისი ჩანაცვლება ირანით. ამ საკითხზე, მინდა, შესანიშნავი ინგლისელი მეცნიერის – არნოლდ ტოიმბის თვალსაზრისი გავიხსენო. იგი ამბობდა, რომ ისრაელის ფუნქცია დროებითია, შესაძლოა, მან იარსებოს მხოლოდ 60-70 წელი და თავისი დრო მოჭამოსო. ჩვენ ამ მომენტის წინაშე ვდგავართ, სწორედ ამიტომაც არის ასე უკმაყოფილო ბენიამინ ნეთანიაჰუ აშშ-ისა და დასავლეთის მიერ ირანისთვის სანქციების მოხსნით, თუმცა ამ სანქციების მოხსნაც ასეთი ადვილი არ არის, რადგან ეს გადაწყვეტილება უნდა მოიწონოს აშშ-ის კონგრესმა, სადაც საკმაოდ ძლიერი ებრაული ლობია. ირანისთვის სანქციების მოხსნით აშშ-ს სურს რუსული ბუნებრივი აირის ირანულით ჩანაცვლება, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა – გაზსადენმა სირიის ტერიტორია უნდა გაიაროს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ცოტა ხნის წინათ ბაშარ ასადს სი-ენ-ენ-ის პრაიმთაიმში ინტერვიუსთვის დაუთმეს დრო. შესაძლოა, სირიის მიმართაც გარკვეული ცვლილებებია დაგეგმილი.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ფეხბურთის დონეზეც კი მიმდინარეობს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება. აბა, რა დევიდ კემერონისა და ანგელა მერკელის საქმე იყო ბლატერის გადადგომის მოთხოვნა?! ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. თქვეს, რომ ამ ორგანიზაციაში კორუფციაა, მაგრამ კორუფცია ხომ ყველგან არის?!

აღსანიშნავია, რომ ბლატერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფეხბურთის განვითარებას აზიისა და აფრიკის ქვეყნებში და ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა სწორედ მას დაუჭირეს მხარი. ბლატერმა გაიმარჯვა; მისმა მოწინააღმდეგემ, იორდანიის პრინცმა ალი ბინ ალ-ჰუსეინმა მეორე ტურში თავისი კანდიდატურა მოხსნა. არა მგონია, ეს ყველაფერი ასე მარტივად დასრულდეს.

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

**რედაქციის კომენტარი: ქალბატონ თამარის წინასწარმეტყველება ახდა – ბლატერი გადადგა, თუმცა რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების საკითხი არავის დაუყენებია ეჭვსქვეშ!**

# ბატონო პრეზიდენტო: წადით, მოსკოვში წადით!

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენი საპარლამენტო გამოსვლა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოს არ ჰყავს სტრატეგიულად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა. საქართველოს ჰყავს მხოლოდ ჩინოვნიკები ხელისუფლების სახით და ჩინოვნიკობისთვის მებრძოლი ჯგუფები ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილის სახით.

თქვენც, სხვებთან ერთად, არ გაგაჩნიათ ანალიზის სურვილი და ვერ ასაბუთებთ, რატომ არის იდეა ფიქსად ქცეული **"პროდასავლური კურსი"** საქართველოსათვის აუცილებელი და ხელშეუხებელი მიზანი, რატომ არის ნატოსკენ სწრაფვა საქართველოში ტაბუდადებული თემა, რატომ არის აშშ და ნატო თქვენი პოლიტიკური რელიგია.

დღევანდელ გამოსვლაში თქვენ ბრძანეთ: **"რუსეთის მიერ გლობალური მასშტაბით გაშლილი პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური კამპანიის ერთ-ერთი ობიექტი საქართველოცაა. რუსული "რბილი ძალის" ამოცანა დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია და საქართველოს მიერ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმაა. ამაში იგი ადგილობრივი ანტიდასავლური ძალების კონგლომერატს იყენებს. ამ შემოტევის შესაჩერებლად აუცილებელია ქვეყნის შიგნით პროდასავლური დღის წესრიგის კონსოლიდაცია და კოორდინირებული მუშაობა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან".**

თქვენ, თუკი საქართველოს ლიდერი ბრძანდებით, უნდა ზრუნავდეთ ქართულ ინტერესებზე, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე და არა რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ იდეოლოგიურ ომზე და ამ ომში დასავლური **"ღირებულებების"** გაკოტრებაზე. რატომ მიიჩნევთ თქვენს ხალხს ცხვრის ფარად, რომ მასზე რუსული პროპაგანდა მოახდენს გავლენას ან რატომ გგონიათ, რომ საქართველოში არსებობს აპრიორი **"ანტიდასავლური ძალების კონგლომერატი"?** დასავლეთმა ხომ თავად მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტაცია დანარჩენ მსოფლიოში – გაუთავებელი ომებით, დაბომბვებით, სახელმწიფო გადატრიალებების ორგანიზებით, მთელი ერების საფინანსო-ეკონომიკური დაკაბალებით. ქართველებს კი კარგად ახსოვთ ამავე დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი სააკაშვილის სასტიკი რეჟიმი, რომლის ნარჩენებსაც დღეს ისევ დასავლეთი იფარავს და ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ მიზეზით ვერ გამოდის ჩიხიდან. ხალხს ისიც ახსოვს, თუ როგორ აქეზებდნენ რუსეთის წინააღმდეგ თავიანთ **"მურიას"**, ასე ვთქვათ, **"დასავლეთის გარკვეული წრეები"** და როგორ გამოიწვია ამ **"მურიამ"** აგვისტოს ომი. ყოველივე ამის შემდეგ რა შუაშია რუსული პროპაგანდა? გარეთ ბნელა თუ როგორაა საქმე?

ნაცვლად **"კუდიანების"** ძიებისა, უმჯობესი იქნებოდა, საქმისთვის მიგეხედათ, საქმეში კი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ვგულისხმობ, რასაც სიტყვიერად მაინც ეთანხმებით. თქვენ მოსკოვიდან მოგცეს სიგნალი, რომ რუსეთის პრეზიდენტი მზად იყო, მიეწვიეთ ნაციზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, მზად არის შეგხვდეთ და განიხილოს თქვენთან ერთად ორმხრივი ურთიერთობების ასპექტები. მავთულხლართები, რომლებსაც თქვენ ახსენებთ, არ უნდა გიზღუდავდეთ ოპონენტებთან დიალოგის წარმოების საშუალებას, მით უფრო, რომ რუსული მხარე თავს თქვენს ოპონენტად არ განიხილავს.

წადით, მოსკოვში წადით და, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, იყავით წელგამართული – დიდ სამამულო ომში გამარჯვებაში ქართველების წილიც დიდია. რუსები, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ისე პოლიტიკოსები, ჩვენი პოლიტიკანებისგან განსხვავებით, არ ივიწყებენ ამ ღვაწლს. და თუ ვინმეს რამე დაავიწყდა, შეახსენეთ, რომ თქვენ გამარჯვების მთავარი არქიტექტორის – გენერალისიმუს იოსებ სტალინის თანამემამულე ბრძანდებით. დასავლეთში არა, მაგრამ რუსეთში სტალინის ავტორიტეტი დიდია და იგი კიდევ უფრო იზრდება – ამას მოწმობს ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა. ორიოდე წლის წინ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თავად განაცხადეთ, რომ რაც მეტი დრო გავა, სტალინის ფიგურა მით უფრო მეტად პოზიტიურად იქნება აღქმულიო. დიახ, ეს ასეა და რატომ არ იყენებთ ამ გარემოებას საქართველოს სასიკეთოდ? პოლონეთში ნუ ახსენებთ სტალინს კარგად, არც ლატიშებთან და ესტონელებთან არის ეს საჭირო, მაგრამ რუსეთში სტალინის ხსენება ბევრ ქულას მოგიტანთ რუსულ საზოგადოებაში. თქვენთვის ჩაწერილი ქულები კი საქართველოს წარმატებაა! რატომ არ გინდათ ამის გაკეთება, **"დასავლელ პარტნიორებს"** ხომ არ უნდა ვუთანხმებდეთ იმას, თუ რა არის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში?!

მაინც პატივისცემით და იმედით,

**გულბაათ რცხილაძე,**
**პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი,**
**"ევრაზიის ინსტიტუტის"**
**ხელმძღვანელი**

# “გრინპისმა” გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია გაასაჯაროა



ორგანიზაცია **“გრინპისმა”,** რომელიც სამყაროს ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის იღვწის, ინტერნეტში გამოაქვეყნა გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია. სია გავრცელდა ბევრ საიტსა და სოციალურ ქსელში. არის თუ არა ეს ინფორმაცია ნამდვილი. სიაში მსხვილი მწარმოებლები არიან. ბევრი მათგანის პროდუქტი შემოწმებულია და დადასტურებულია მათში გემოდიფიცირებული შემადგენლობების არსებობა, თუმცა ზოგიერთი კომპანია სიაში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ **“გრინპისს”** არ მიაწოდა ინფორმაცია თავისი პროდუქციის შემადგენლობაზე. ბევრი მწარმოებელი თავს იმართლებს, რომ აქვს საჭირო დოკუმენტები, თუმცა მათთვის არავის მიუმართავს ამ საკითხზე. ასეა თუ ისე, ინფორმაცია გავრცელდა და რაკი ეჭვი გაჩნდა, სავარაუდოდ, არც მთლად სუფთად არის საქმე. ყველაზე ამაღელვებელი და შემაშფოთებელი კი აქ ის არის, რომ სიაში ძირითადად ბავშვთა კვების პროდუქტებია.

ჩვენ სიას გთავაზობთ და არჩევანი თქვენზეა, ენდოთ **“გრინპისს”** თუ აღნიშნული კომპანიების კეთილსინდისიერებას.

კიდევ ერთხელ თუ გავიმეორებთ, Greenpeace ამტკიცებს, რომ ზოგიერთი კომპანია მხოლოდ იმის გამო მოხვდა სიაში, რომ არ წარადგინა ინფორმაცია საკუთარი პროდუქტების შემადგენლობაზე. მწარმოებლები კი, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ მათ ყველანაირი დოკუმენტაცია აქვთ და რომ ინფორმაციის მიწოდება მათთვის არავის უთხოვია.

იყავით ფრთხილად! კარგად შეისწავლეთ პროდუქტების შეფუთვაზე მოცემული ინფორმაცია.

**პროდუქტების სია:**

1. Snickers
2. McDonald’s-ის პროდუქცია
3. Nestle-ს ბავშვთა კვება.
4. ჩაი Lipton-ი.
5. M&M’s.
6. Twix.
7. Milky Way.
8. შოკოლადი და კაკაო Cadbury.
9. Ferrero.
10. Nestle-ს პროდუქცია.
11. შოკოლადის სასმელიNestle Nesquik.
12. Coca-Cola.
13. Sprite, Fanta
14. Pepsi.
15. 7-Up
16. Kellogg’s-ის მშრალი საუზმეები.
17. Knorr-ის სოუსები.
18. ორცხობილა Parmalat.
19. Hellmann’s-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები
20. Heinz-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები
21. Uncle Bens Mars-ის ბრინჯი
22. Hipp-ის პროდუქცია
23. Abbot Labs Similac-ის საბავშვო ნარევები.
24. Danon-ის იოგურტი, კეფირი, ყველი, საბავშვო პროდუქცია
25. Campbell-ის სუფები
26. Kraft-ის ჩიფსები, კეტჩუპი, ბავშვთა კვება
27. Unilever-ის პროდუქცია.

**P.S.** რასაკვირველია, საიტი საკუთარ კვლევებს ვერ აწარმოებს და მხოლოდ ის შეგვიძლია, გავრცელებული ინფორმაცია მკითხველამდე მივიტანოთ. მსგავსი სიები აქამდეც ბევრჯერ გავრცელებულა და ალბათ კიდევ გავრცელდება, ასეთ სიებში არა მხოლოდ გენმოდიფიცირებულ საკვებზე მიგვანიშნებენ ხოლმე, არამედ ბევრ საშიშ კონსერვანტზე, ემულგატორზე, საღებავზე და ა.შ., რითაც სავსეა თანამედროვე პროდუქტები. ამიტომ საჭიროა, ასეთი სახის ინფორმაცია ყველას ჰქონდეს. თუმცა მათ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ვერც ერთი მედიასაშუალება თავს ვერ დადებს. ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება შეგვიძლია – რაც მეტად ინფორმირებულია ადამიანი, მით მეტად დაცულია. ის კი ყველასთვის ცნობილია, რომ ზოგადად ქარხნულ პროდუქციაში ხშირად არის საეჭვო ინგრედიენტები და მხოლოდ მწარმოებლების კეთილსინდისიერების იმედად, სამწუხაროდ, ვერ ვიქნებით. გვინდა ისიც კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ყველაფერს მაინც შინ, საკუთარი ხელით მომზადებული საკვები ჯობს, მით უმეტეს, ბავშვებისთვის და თუ რაღაცას ყიდულობთ, აუცილებლად კარგად უნდა გავეცნოთ მის შემადგენლობას.

# “ერი-ერია და ხორცმეტი-ხორცმეტია...”

*“სააკაშვილი უსამშობლო თაღლითია, რომელიც მთელ მსოფლიოში დაპარპაშებს და მსოფლიოც ვერაა სრულ ჭკუაზე, გაფრენილი აქვს” – გთავაზობთ პარლამენტარის, ცნობილი ქართველი მსახიობის* **ზაზა პაპუაშვილის** *მწვავე შეფასებებს ექსპრეზიდენტის უკრაინულ ძალაუფლებაზე.*

*უნდა ვენდოთ ქართველ პარლამენტარს, რადგან, როცა სააკაშვილის ბეგრაუნდის მქონე პოლიტიკოსად წოდებულ არარაობას საგუბერნიოდ აძლევ ისეთ მნიშვნელოვან საკვანძო პუნქტს, როგორიც ოდესაა, ან საერთოდ არაფერი იცი ამ არამზადის მიერ მანამდე ჩადენილ მძიმე დანაშაულობებზე საქართველოში, ან იცი და არ იმჩნევ, რადგან იგივე ვერაგული საქმეების განხორციელება გინდა უკრაინის მიმართ, რა ვერაგული საქმეებიც დაატეხა თავს საქართველოს დაშნაკმა მიხეილ სააკაშვილმა.*

*მალე უკრაინელებიც იწვნევენ საკუთარ თავზე სააკიანცის იმ “წარმატებული” რეფორმების სიმძიმეს, რითაც ამ დაშნაკმა არამზადამ ლამის ხერხემალში გადაამტვრია საქართველო. მიხვდებიან კი ამას დროულად უკრაინელები?*

ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნა ჯერ კიდევ აქტუალური თემაა. პრესა ამ თემაზე უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, **ზაზა პაპუაშვილის** შეფასებებით დაინტერესდა:

– მე, როგორც წესიერმა ქართველმა და წესიერმა ადამიანმა, რომელსაც დეპუტატის სტატუსი მაქვს, მინდა ხმამაღლა ვთქვა: უკრაინელების პრობლემები ჩვენ ყველას გულთან მიგვაქვს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თვითონ უკრაინელები ამ პრობლემებს ნაკლებად განიცდიან. რა უბედურებასაც სააკაშვილი და მისი **“შპანა”** უკრაინას დააწევს, მერე საქართველოს და ქართველებს არ უნდა დაბრალდეს. შემდეგ უკრაინელებმა თითი არ უნდა გამოიშვირონ – ქართველებმა ეს რა დაგვმართესო. სააკაშვილი არის უსამშობლო და თაღლითი, რომელიც მთელ მსოფლიოში დაპარპაშებს. როგორც ჩანს, მსოფლიოც ვერაა სრულ ჭკუაზე და მსოფლიოსაც კარგად აქვს გაფრენილი.

**– ის, რომ ექს-პრეზიდენტმა დათმო საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოს იმიჯისთვის საზიანო ხომ არ იქნება?**

– ვინაა საკაშვილი, რომ მან საქართველოს სახელი შეულახოს?! ქვეყანა-ქვეყანაა, ერი-ერია და ხორცმეტი-ხორცმეტია. შესაძლოა, რაიმე მცირე ჯგუფმა მიაქციოს მის ქცევას ყურადღება, მაგრამ ქვეყნის იმიჯზე ეს გავლენას არ მოახდენს. ყველამ იცის ვინ არის სააკაშვილი, მაგრამ ჩუმად არიან და სეირის უყურებენ. ის, რაც ახლა ხდება, ჩვეულებრივი შეთქმულებაა უკრაინის მიმართ. აბა, რატომ გაყიდეს და დაამცირეს ეს ქვეყანა?! კაცობრიობის, კულტურის, ერების და მათი ტრადიციების წინაშე შეთქმულებაა. აბა სხვა რა დავარქვა იმას, რაც ხდება?! არ გახსოვთ, რას უპირებდნენ ჩვენს ქვეყანას? როდესაც მსოფლიოში ასეთი კატაკლიზმები ხდება, ეს არის რაღაც მცირე ჯგუფის შეთქმულება მსოფლიოს წინაშე.

**– როგორ ფიქრობთ, უკრაინელებს რატომ არ ჰქონდათ პროტესტი სააკაშვილის გუბერნატორობაზე?**

– ვერ გეტყვით, რა ხდება მათ ტვინში, მაგრამ მე, ადამიანს, რომელიც ვუყურებ მეზობელი ქვეყნის პრობლემას, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი ნაკლებად განიცდიან იმას, რაც მათ თავს ხდება.

**– რამდენად სწორი იყო უკრაინელების მხრიდან გადადგმული ნაბიჯი, როდესაც მეგობარ ქვეყანაში ძებნილი თანამდებობაზე დანიშნეს?**

– ეს იყო უპასუხისმგებლობა და უკულტურობა. სხვათაშორის, მე არც გამიგია, რომ მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტი მომხდარიყო. ადამიანი, რომელიც იყო ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც ლამის გააპარტახა მთელი ქვეყანა და უცებ აღმოჩნდეს სხვა ქვეყნის **“პოლიტიკურ ელიტაში”** და თან ინიშნება მაღალ თანამდებობაზე, არის მასხარაობა. არ ვიცი სად იწერება ეს სცენარები, მაგრამ ასე შემთხვევით არაფერი რომ არ ხდება, ცხადია.

**– ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რატომ არ იყო შესაბამისი პროტესტი?**

– ჩვენმა ხელისუფლება ძალიან დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა მათი ქმედების მიმართ. ამის იქით ჩვენი ხელისუფლება არ წასულა და არც უნდა წასულიყო. ვიღაც პოროშენკოსთან შეხვიდე დისკუსიაში და დაუწყო ხვეწნა-მუდარა, თუ რატომ დანიშნე სააკაშვილი თანამდებობაზე, არ იქნება სწორი.

**ლ. გოგოლაძე**



# საგულედან ამოცლილი გულის მესამედი

**(ანუ აფხაზეთი)**

1992-1993 წლების დასაქცევი ეპოქა, როდესაც ქართველმა – ქართველის სისხლში გაისვარა ხელები – უმწეო დედას თვალწინ მოუკლა შვილი, ბოროტმა სძლია კეთილს, სატანამ გადაიხარხარა და თავისი იქედნური სიამაყით ჩაგვაფურთხა სულში მართლმადიდებელ ერს. საქართველომ დაკარგა საკუთარი საგულედან ამოცლილი გულის მესამედი.

ქვეყნად მომრავლდა ღალატი, ძმა – საკუთარ ძმას არ ენდობოდა, შური?! – არ ვიცი, არ მკითხოთ, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ნუთუ საკითხავია?! – საიდან ამდენი დაბოღმილი თვალები, დათესილი სიძულვილის ენა, ნუთუ უფალმა მიგვატოვა, ძველებურად არ გადმოგვხედა მოწყალე თვალებით?! – თუმცა უნდა გვესმოდეს კარგად, ჩვენ ჩავკალით საკუთარ თავებში რწმენა ჭეშმარიტი სიყვარულისადმი.

მამა-შვილურ გაუგებრობაში, ქართველი – ქართველს გადაემტერა, ამ გაუგონარ ორომ-ტრიალში კი – მესამე დემონიურმა ძალამ დრო იხელთა, საკუთარი ტალახში ამოსვრილი ბინძური ხელები ჩვენ შეგვაწმინდა. არავის გაუკვირდა, იცით რატომ?! საქართველო ყოველთვის მეგობრობდა ერთმორწმუნე ხალხებთან, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომენტებში გამოგვაცლიდნენ ხოლმე საყრდენს, წყდებოდა ყოველგვარი ურთიერთობის ჯაჭვი (არავის ახსოვდა ერთმორწმუნე, ერთგული მოძმე, მეგობარი საქართველო), უჩვეულო ჩვევად ჰქონდათ ქცეული **„იმპერიებს“** შეუფერებელი ჩვენთვის, მისთვის კი ალბათ შესაფერისი პრინციპი **„დაყავი და იბატონე“,** ჩვენს სამშობლოს კი ასეთი მეგობრობა საბოლოოდ ყოველთვის სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

მე მხოლოდ ერთი წლის ვიყავი, მაშინ როდესაც მტკივნეული ნანგრევების ქვეშ მოვყევი, ეს იყო ყველაზე გაუგონარი – დასაგმობი სისხლიანი წვიმების ეპოქა, მაშინ როდესაც წარსულის გადმონაშთებიდან სამშობლოს საგულედან ამოცლილი გულის მესამედი წართმეული ჰქონდა, სულს ღაფავდა – სულიერად თუ ფიზიკურად განადგურებული იყო.

ალბათ ყველას კარგად გვახსოვს საქართველოს წარსული, სად გაგვიდგამს ფესვები, საიდან მოვდივართ, რა გზა გამოგვივლია დღემდე, არ არსებობდა საუკუნე ჩვენზე მტრებს არ გაელაშქრათ, თუმცა 1992-1993 წწ. ყველაზე შეურაცმყოფელი და მტკივნეული აღმოჩნდა.

რატომ?!

პასუხი ზედაპირზეა, დეტალებზე საუბარს კი არ ვთვლი საჭიროდ. საქართველო ბრძოლისაგან ასგზის დაჭრილი უფლის მფარველობითა და შეწევნით წამოიმართებოდა, თითქოს ბედთან შეუდრეკელი ბუნების, ფენიქსივით აღორძინდებოდა ადრე თუ გვიან და ცხოვრებას ჩვეულებრივ რიტმში განაგრძობდა, თუმცა მამა-შვილური გაუგებრობის შედეგად, მან დაკარგა უმთავრესი რამ – რწმენა ჭეშმარიტი სიყვარულისადმი, რაც ჩვენმა ერთადერთმა კეთილისმყოფელმა – არსთა გამრიგემ არ გვაპატია.

თითქმის ყოველდღე, არა სიგარეტის ბოლით გაბრუებული გონებით, ვდგავარ ფინჯანი მწვანე ჩაით ხელში, უბრალოდ ფიქრებში დანათოვარი კაცი, საკუთარი სახლის აივნიდან გადავყურებ საქართველოს, რომელიც ოდესღაც გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, დღეს კი – სამშობლოს საგულედან ამოცლილი გულის მესამედს შორიდან ვესალმები, ძალიან მიჭირს მოვეფერო – ჩვენს შორის ხელოვნურად აღმართულია ცივი კედლები, მე კი ვცდილობ იმ კედლებს იქით როგორმე გავაგონო, რომ ძალიან მიყვარს, წლები გადის (ირმის ნახტომით), რაც ასე ვაგრძელებ ცხოვრებას.

იმედს არ ვკარგავ ჩვენი სამშობლოს დაჭრილი გული ოდესღაც გამთელდება, საგულედან ამოცლილი გულის მესამედი დაუბრუნდება საკუთარ ადგილს საგულეში და როგორც ერთ მთლიანს – არა ჩემი სახლის აივნიდან ხელის გაწვდენაზე. იცით, უბრალოდ, გამოვივლი მასში ყველა კუთხე-კუნჭულიდან სიღრმეებში ერთსულოვნებით, უკლებლივ, მთლიანობაში როგორც სრულყოფილებაში, მოვეფერები, ჩავეხუტები ერთხელ და სამუდამოდ, შემდეგ კი არასოდეს გაუშვებ ხელებს.

დღეს – იმ წარსულის გადმონაშთებიდან, მტკივნეული ნანგრევების ქვეშ მოყოლილ თქვენს მეგობარს მძულს სისხლიან წვიმების გაუგონარი – დასაგმობი ეპოქა, **ვერ ვიტან მესამე დემონიურ ძალას – იცით, იმ ძალას, რომელმაც სულში ჩაგვაფურთხა, საკუთარი ტალახში ამოსვრილი ბინძური ხელები ჩვენ შეგვაწმინდა, თვითონ კი – იქედნური სიამაყით ჩვენზე გადაიხარხარა,** მაინც ყველაზე მეტად მწყინს მამა-შვილური გაუგებრობა, მიჭირს აღიარება, რომ საკუთარ თავებში ჩავკალით რწმენა ჭეშმარიტი სიყვარულისადმი და მტკივა უსაშველო ტკივილი, რომელსაც ჩვენი აფხაზეთი ქვია.

**ნიკო (ნიკოლოზ) ჭურღულია**

# პოლიციის კაპიტან ეკა გიგაურის სასამართლო პერიპეტიები



ყოველთვის მიკვირდა, თუ რატომ ჰქონდა განუსაზღვრელი უფლებები მინიჭებული არასამთავრობო ორგანიზაცია **"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს"** ხელმძღვანელ ეკა გიგაურს და მისნაირ კოკობზიკა არასამთავრობოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ხან ამერიკის ელჩის გვერდით არიან გამოჯგიმული ალშვანგის ნოქარივით, ხან კი ლატენტურ ნაციონალ, საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ არარაობას, **"პლასტელინა"** მარგველაშვილს უმშვენებენ მხარს!

რაც შეეხება ეკა გიგაურს, ეს ქალბატონი იმდენად პრეტენზიული იყო და იმდენად თავხედურად უყენებდა ულტიმატუმს საქართველოს ხელისუფლებას, რომ კაცი იფიქრებდი – ხალხმა **"ქართული ოცნება"** კი არა, ეკა გიგაური აირჩია ქვეყნის სათავეშიო.

ახლა არც იმის განჭვრეტაა ძნელი, რომ სწორედ ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის მფარველობის შედეგი გახლავთ ის დიდი რეიტინგიც, რომელიც ამერიკულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა დაუწერა **"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს"** არასამთავრობოებს შორის.

ეს ქალბატონი ვითომ სახელმწიფოს ინტერესებს იცავს, სინამდვილეში კი, ყველა მისი სიტყვა და საქმე მხოლოდ დაშნაკი **"ნაციონალების"** წისქვილზე ასხამს წყალს.

ამერიკელები კი საქართველოსათვის სასიკეთო ძალას არასოდეს დაუჭერენ მხარს!

არა და, ამ პიპლიკოზა ქალბატონს ზუსტად იმხელა რეიტინგი აქვს ხალხში, როგორიც ნაციონალთა შნირს ვიღაც ომარ მაგრაქველიძეს, ამერიკის დროშაწამოსხმული რომ დაიარება ქალაქის ქუჩებში და ურცხვად ასხამს ხოტბას სააკაშვილს.

მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მესვეურებმა იმდენი ფული მოჰპარეს საქართველოს ხაზინას და მოსახლეობას, რომ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ექნებათ მათი მხარდამჭერი არასამთავრობოების დაფინანსების საშუალება.

რაც შეეხება ამერიკელებისაგან ესოდენ განებივრებულ ქალბატონ ეკა გიგაურს, მასთან დაკავშირებული საქმის ბნელ მხარეს ნათელი მაშინ მოეფინა, როცა **"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს"** ხელმძღვანელმა რეჟისორ გიორგი ხაინდრავას, თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივლა. როგორც ხაინდრავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სასამართლო პროცესი უახლოეს დღეებში დაინიშნება.

**"თბილისის საქალაქო სასამართლოდან მივიღე გზავნილი, გავეცანი მის შინაარსს და ცხონებული ნიკუშა გომელაურის ლექსი გამახსენდა, რომელიც ამბობს, რომ "ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, ბონდომ ჯონდო დააორსულა"-ო. ძალიან უხდება დღევანდელ ყოფას და ვითარებას ნიკუშას ეს ლექსი. კაპიტანმა გიგაურმა სასამართლოში მიჩივლა და მომივიდა გზავნილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ პატივს და ღირსების შელახვისთვის ითხოვს 30 თეთრს, ანუ 30 ვერცხლს და ბოდიშის მოხდას. რაც შეეხება 30 ვერცხლს, მისამართი შეეშალა, მე ნამდვილად არ ვაპირებ და მას უკვე მიღებული აქვს ბევრი ასეთი 30 ვერცხლი იმ ადამიანებისგან, ვინც ვერცხლებს არიგებენ. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, ბოდიშის მოხდას მთხოვს ის ადამიანი, რომელიც ადამიანის უფლებებზე მუშაობს",** – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისი თქმით, დოკუმენტში, რომელიც საქმეს აქვს დართული, წერია, რომ 2007 წლის 13 ნოემბერის წერილის საფუძველზე, ვანო მერაბიშვილი სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს, უფროს ლეიტენანტ ეკა სიმონის ასულ გიგაურს ვადაზე ადრე ანიჭებს სასაზღვრო პოლიციის კაპიტნის წოდებას.

**"ღირსების შელახვა არის იქ შესაძლებელი, სადაც ღირსება არსებობს, სადაც ვანო მერაბიშვილი ბრძანებებს გასცემდა, ღირსება არ არსებობდა. 14 ნოემბერს სულ რომ მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყავი ადამიანი, ვანო მერაბიშვილის წახალისების მიღება და მითუმეტეს შერგება, როგორც კაპიტანმა გიგაურმა შეირგო, არის ჩემი რწმენით აბსოლუტური უთავმოყვარეობა. ეს არის ის დღეები, როდესაც მთელი მსოფლიო შფოთავს იმაზე, რაც მოხდა თბილისში. საქართველო და დედაქალაქი იშუშებს იმ მრავალრიცხოვან დაზიანებებს, რომელიც ამ მხეცებმა მიაყენეს ქართულ საზოგადოებას, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური და ამის ჩამდენი და მიმღები ადამიანი, მე მელაპარაკება ღირსებაზე",** – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ახლა ხომ ხვდებით, ძვირფასო მკითხველო, თუ რომ ჰყავთ ფავორში კაპიტანი ეკა გიგაური ამერიკის ელჩსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს?

დიახ, ბატონებო, პირწავარდნილი ნაციონალია გიგაური და ამერიკის ელჩიც ამიტომ დაჰფოფინებს, რომ ხალხის მიერ სამუდამოდ მოძულებულმა ნაცებმა ჯერ კიდევ გააგრძელონ ტივტივი პოლიტიკის ზღვაში.

მაგრამ, ელჩს უნდა ავუხსნათ, რომ წყალში სხვა ბევრი რამეც ტივტივებს, განსაკუთრებით ის, ფრიად არასასიამოვნო სურნელება რომ დაჰკრავს.

ნაციონალები უკვე ორგანულად გადაიდნენ ამ სუბსტანციაში და ამიტომაც ამყრალებენ ყველაფერს!

გაფრთხილებთ ყველას – დღეის ამას იქით, როცა ეკა გიგაურს შეხვდებით, მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეთ და სამხედრო სალამი მიეცით, როგორც ეს ჩინით პოლიციის კაპიტანს ეკადრება!

ეს რიტუალი მით უმეტეს საჭიროა, რადგან სასაზღვრო ჯარი ყოველთვის უშიშროებასთან ასოცირდება, უშიშროებასთან ხუმრობას კი არავის არ ვურჩევ!

საჯაროდ გამოააშკარავებულ მავნებლურ ძალას – **"ნაციონალურ მოძრაობას"** დღემდე ერთგულად უკმევენ და პიარს უკეთებენ არასამთავრობოები – ეკა გიგაურის **"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"**, ნინო ლომჯარიას **"სამართლიანი არჩევნები"**, თამარ ნაცვლიშვილის **"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"** და სხვა იწილო-ბიწილო ორგანიზაციები, რომლებიც ვითომ ჭეშმარიტების სადარაჯოზე დგანან, სინამდვილეში კი მზაკვრულად ემსახურებიან ნაციონალთა დამანგრეველ ინტერესებს. აი, რითი უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები და გამოარკვიონ, რომელი სახელმწიფო ან პოლიტიკური ძალა აფინანსებს ამ ვითომ ნეიტრალურ, სინამდვილეში კი ქართველი ხალხის მიერ ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი ნაციონალების მხარდამჭერ არასამთავრობოებს.

# საქინფორმი იუწყება

## თეიმურაზ ქარჩავა: „დაზუსტებულია ანაკლიის პორტის დაფინანსების ყველა წყარო“

კონსორციუმ Anaklia Eco Park and Port-ის ხელმძღვანელმა თეიმურაზ ქარჩავამ რამდენიმე დღის წინ შეხვედრა გამართა საქართველოს მთავრობის გერმანელ კონსულტანტებთან, რომლებიც ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის კანდიდატთა შერჩევის საკითხებითა არიან დაკავებულნი.

**„სპუტნიკ-გრუზიას“** კორესპონდენტი კონსორციუმის ხელმძღვანელს შეხვდა.

**– რა საკითხები განიხილებოდა?**

– ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო. ტექნიკური და ფინანსური ხასიათის საკითხებიც განიხილებოდა. ყველა საკითხზე მოცემულ ეტაპისთვის ამომწურავი პასუხებია გაცემული. გარდა ამისა, ოფიციალურად განვაცხადე, რომ როგორც კი დასასრულ ეტაპზე გადასვლის ოფიციალურ შეტყობინებას მივიღებთ, ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცემა და წარმოდგენილი იქნება ყველა აუცილებელი დოკუმენტი საბანკო დასტურთან ერთად.

ჩვენს კონსორციუმს უკვე აქვს პორტის დაზუსტებული პროექტი და მისი ყველა ფაზის დაფინანსების წყარო, რაც დადასტურებულია ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტებით. მიგვაჩნია, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობისა და განვითარების საკითხში ჩვენს კონსორციუმს კონკურენტი არ ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს, რადგან ჩვენი კონსორციუმის წევრები არიან ძლიერი მსოფლიო კომპანიები, რომლებიც ამ პროექტით უკვე 25 წელია დაკავებული არიან.

**– ვინ არიან თქვენი პარტნიორები?**

– ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია **„Powerchina"**. გარდა ამისა, ჩვენი პოტენციური პარტნიორები, რომლებიც თავისი კაპიტალის ინვესტირებას მოახდენენ, არიან: **„British Eco Power“ , „Global Steel Holdings – Mittal“, „ევროპის საინვესტიციო ბანკი“, „Tianjin Port“, „P & O Ports“** და **„Samsung Corporation“.**

## "ნაცმოძრაობის" პარტიული სიის №1 შესაძლოა საქართველოში აშშ-ის ამჟამინდელი ელჩი გახდეს!" – გიგლა ბარამიძე

პარტია **„დამოკრატიული მოძრაობის“** პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძის განცხადებით, ჩვენი ხელისუფლების უნიათობის ბრალია, რომ აშშ-ის ელჩი თავს უფლებას აძლევს, მთავრობის სხდომები შეაჯამოს და მინისტრები დაგვინიშნოს.

**„– 2 დღის წინ თავად ვიხილე სიღნაღში, ერთ-ერთ ძვირადღირებულ სასტუმროში, თუ როგორ შედიოდნენ მასთან რიგრიგობით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათთან დაახლოებული პირები. თუ ჩვენ „ნამესტნიკები“ და გენერალ-გუბერნატორები გვყავს, გვითხრან და გვეცოდინება“,** – აცხადებს ბარამიძე.

ბარამიძისავე თქმით, ამერიკის ელჩს მალე გასდის აკრედიტაციის ვადა და მას მომავალ არჩევნებში **„ნაციონალური მოძრაობის“** პარტიული სიის პირველ ნომრად კენჭისყრას და პარლამენტში შესვლას სთავაზობს.

## "საქართველოში ბოლო 13 წლის განმავლობაში ჩინეთის დელეგაციის ასეთი მაღალი დონის ვიზიტი პირველად განხორციელდა, რაც მოწმობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების მზაობას"

ამის შესახებ პრემიერ–მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩენგ ჩანგჭის შეხვედრაზე აღინიშნა.

**„ჩვენს მთავრობას აქვს დიდი ინტერესი, განავითაროს ურთიერთობები ჩინეთთან დარწმუნებული ვარ, ერთობლივად შევძლებთ ძალიან ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ჩინეთის დელეგაციასთან გამართულ შეხვედრაზე.

ჩინურმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზაობა, მიიღოს მონაწილეობა 2015 წლის ოქტომბერში თბილისში დაგეგმილ **„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში“.** ჩენგ ჩანგჭის განმარტებით, ჩინეთი და საქართველო აქტიურად თანამშრომლობს **"ახალი აბრეშუმის გზის"** მშენებლობის პროცესში.

### პოეზიის კუთხე

## ქინოტახელე ჭარაშ ხინჯეფი,

ქინოტახელე ჭარაშ ხინჯეფი,
ასე ცოროფას ჭახის ცოთანა,
თე გოსქირაფილ გურიშ ღვინჯეფი.

გური ირფელით ეკოფშა რენი,
კინე გინწყუმგ, ბრელშა ნაკვათა,
ქიგესერელე ვერჩე შარეფი,
მოჩერჩელუანს ღურუშ აკათა.

ვამიჩქ, მიში რე მიკნაჭყოლოფა,
იბორჯ ბორჯიში ბასქა ბორზალი,
კირდეს გინვორექ, მუჭოთ ცოროფა,
გარამეფიშა მითაქოსალი.

* * *

ირკოს ართო ტახენს სქიბუ,
სონ სქუა დო მიში ჩილი,
ვათმოსქიდგ მითინ ტიბუ,
ოშწანურას მენჭაფილი.

გურც დაჩხირი ქგდარზინი,
ბოშკოჩურო ქიხვარ ცვილე,
გურიშ ხიბას დართი კინი,
შკურინჯ ოკო ქიგჲოცვილე.

ქინგორჩქინუს მიაჯინი,
შურიშ ორსანტ რშუდას ირო,
ნწალე გაფგ რინაშ ჭინი,
ართო ნწალე, გოლვაფირო.

ჩეგემი რე უკულ, შორშე,
ვეკმიფშაფგ ნამთინ ჭუა,
სო გვიცონანს ცათე შოშე,
სონი ნოფას მიკგვოჭუანს?

ჩქიჩქცალო ლურცგ ორთას,
ოღურალო დუწკურ თოლი,
მივაჯინექ თუთაშ მორთას,
სოჲშახ ღურუს ქგვახოლი.

გიორგი ხულორდა

## მომხვამაფუ ჯიმალეფი,

მომხვამაფუ ჯიმალეფი, ართო იკოზკუმონჯუა,
ამდღარი დღაშა მიჯგუდეს, ტურა ღურელი ჯოღორი ჯუა,
ანწ, ვარა ქიბხვარათ. მარგალური ჩქ ნი ჭკუა.
მარგალემც მიღუდეს ჩქ ნი ქივანა ზღვაშნერი ფართო,
ხეწფეთ მი ნდეს, ჩქ უფცხოვრენდით არძო ართო.
ზღვა რდ , ჩქ ნი ნანა, ბაბა, ზღვას იფხვარდით კაბა, ღართო.
ზღვა რდ ჩქ ნი ეზო, კარი, ზღვორდ ჩქ ნი შარა ფართო.
მარგალობა შურო ვარე ოძიცე, დო დასაძრახე.
მარგალქ ოკო ქიჩინას მუში დუდი მუში სახე,
ჯგირო ოკო გური ქოუჩას, მიქ დოუდგ , ხუნდი-მახე.
მარგალი კოჩი ირო ორდუ, შხვაში მარდუ დო მოკარნახე.
უჩა ზღვაში მოკი-მოკი, მუში უჯგუში სოთინ ვახე.
ზღვა მარგალიც ოჰამუდუ, მარგალი ორდუ ზღვაში ჩვამა
ღორონც მუთუნი ვაუქიმინუ, მარგალი ცირაში მასკვამა.
ლაზეფი დო მარგალეი, ართ ოჯახიში ვორეთ სკუმ.
ეშმაკემქ გაკმორღვეს, ქაშამიოთეს რიყეშ-ქუა
ხინჯი ქენომპურტოლეს, ქოგომბუნეს ცხენიში ძუა
ორაგადე ბრელ მიღ მარა, ჩხომს ვოგუქ დო მამუ ბაქუა.

ჯემალ პერტაია, ტომბა

# როგორი ევროპისაკენ მიისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები და როგორია ევროპა დღეს

დიდი ხანი ვფიქრობდი, მომეკიდა თუ არა ხელი ამ უაღრესად პრობლემური თემისათვის, რადგან ტრადიციული სიწმინდეებისადმი ჯეროვანი დამოკიდებულება დღეს სადავოა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ, სამწუხაროდ, საქართველოშიც კი. დღევანდელ ევროპაში, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს და ვერ დაგვიდგენია, თუ რამ გამოიწვია იმ ევროპელი ერების ესოდენ ტოტალური გარყვნა და ბიბლიური ღირებულებებისაგან უკუქცევა, რომლებიც ქრისტიანული მრწამსისა და ტრადიციული მორალური თუ ზნეობრივი ღირებულებების დასაცავად ინკვიზიციის კოცონზე გასვლასაც კი არ უკრთოდნენ.

მართლაც რომ შეუცნობელია ღვთიური გზა!

მაგრამ ახლახან საჩუქრად მომიძღვნეს დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და ლიტერატურის კრიტიკის კლასიკოსის კონსტანტინე კაპანელის წიგნი **"რენესანსი ლიტერატურაში"** (წიგნი მისახსოვრა კონსტანტინე კაპანელის შვილისშვილმა ქალბატონმა რუსუდან კაპანელმა, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ მას – **რ.ჯ.**). სწორედ ამ წიგნმა ამიხილა ბევრ რამეზე თვალი და კიდევ ერთხელ მინდა მოვუთხრო მკითხველებს იმ ჩვენს მდიდარ ტრადიციებზე, რომელსაც დღესაც კი ვერ შესწვდებიან ოცნებით ის ევროპელები, რომლებიც **"ცხოვრებასა და ჭკუას გვასწავლიან"**.

მატიანის გაცრეცილი ფურცლები უტყუარად ღაღადებენ, რომ ქვეყნის გარედან წამოსული სიძნელეების არქონა თითქმის ყოველთვის იწვევს შიდადაძაბულობას. გაიხსენეთ – როცა ქართველებს, წლების განმავლობაში, უცხო მტრის შემოსევა არ ემუქრებოდათ, შუაზე გაიყოფოდნენ და ერთმანეთს დაერეოდნენ ხოლმე. ამის მაგალითად თუნდაც ბაზალეთის სამარცხვინო ომი გამოდგება. ასე იყო ევროპაშიც – ქართველი ქრისტიანებისაგან განსხვავებით, მათ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის არასდროს უწევდათ ომი ქრისტიანული რელიგიის დასაცავად, ეს ფუნქცია მთლიანად რომის პაპს ჰქონდა თავის თავზე აღებული, მეფეები და დიდგვაროვნები კი ერთმანეთს ქონებისათვის ებრძოდნენ. საქართველოს რელიგიის ისტორია, ამ მხრივ, დამძიმებულია უამრავი მსხვერპლით – შუშანიკი, აბო ტფილელი, რაჟდენ პირველმოწამე, დავითი და კონსტანტინე, შალვა ახალციხელი, 100.000 წმინდა მოწამე, გარეჯის მონასტერში უმოწყალოდ დაჩეხილი 2.000 ბერი და სხვა რამდენიც გნებავთ...

ამიტომაც არის ქართველ კაცში ესოდენ ძლიერი მართლმადიდებლური მრწამსი, განსხვავებით ევროპული კათოლიკური სარწმუნოებისა, რომელიც უკვე ლამის სულს ღაფავს ევროამერიკელი ლიბერასტების ძალისხმევის გამოისობით.

ვერც ჯვაროსნულ ომებს განვიხილავთ რელიგიის გადასარჩენად გამართულ სამხედრო კამპანიად. ამ ომების ძირითადი მიზანი ქრისტეს საფლავის ურჯულოებისაგან გამოხსნა წარმოადგენდა, უფრო კონკრეტული მიზანი კი მოსახლეობის ძარცვის ხარჯზე ამ ომის ორგანიზატორების გამდიდრება წარმოადგენდა. თავად წარმოიდგინეთ – ვიდრე ჯვაროსანთა ლაშქარი ქრისტეს სამშობლომდე გზას გაივლიდა, დამშეული ჯარისკაცები სწორედ იერუსალიმის მარშრუტზე მდებარე ქრისტიანულ სოფლებს ძარცვავდნენ და საკვების გარეშე სტოვებდნენ, რაც მათი შიმშილითა და ტანჯვით სიკვდილისათვის გამეტებას ნიშნავდა. ამრიგად, ჯვაროსნულმა ომებმა უფრო მეტად ქრისტიანული სამყარო დააზარალეს, ვიდრე მუსულმანური. ამ ფაქტისადმი საქართველოს მეფის კარის დამოკიდებულება თავისთავად მიანიშნებს იმდროინდელი საქართველოს მმართველების პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, რომლის აშკარა დეფიციტს განიცდიდნენ ევროპელი მმართველები.

1089 წელს, როცა 15 წლის დავითი (მომავალი **"აღმაშენებელი"**) საქართველოს ტახტზე დაჯდა, პირველი, რაც მან მოიმოქმედა, იყო ის, რომ რომის პაპს მისწერა წერილი, რომელმაც ლამის შუაზე გახეთქა კონკლავი. ბუნებრივია, რომ ამ წერილის ავტორი იქნებოდა მეფის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი, რადგან გამორიცხულია, რომ 15 წლის ყრმა მეფეს მსგავსი პოლიტიკური გამჭრიახობა და გამოცდილება ჰქონოდა. დავითი წერდა რომის პაპს, რომელიც 1096 წლის პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას ამზადებდა, რომ ვერავითარი ჯვაროსნული ლაშქრობებით ქრისტეს საფლავს ურჯულოებისაგან ვერ დაიხსნით და ამის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს – იერუსალიმში უნდა აღვადგინოთ ებრაელთა სახელმწიფო და ეს უნდა გავაკეთოთ ესპანეთისა და სურამის ებრაელთა ბაზაზე, ვიდრე მათაც არ შეპარვიათ ევროპული შიში.

არ დაიჯერა მაშინ რომის პაპმა ქართველების შეგონება და შესაბამისი შედეგიც დაუდგა – მრავალგზისი ჯვაროსნული ლაშქრობით ქრისტეს საფლავი ვერ დაიხსნეს, საქრისტიანოს კი დიდი ზიანი მიაყენეს!

მაგრამ ეს ყოველივე საქართველოსათვის მაინც კეთილად დაგვირგვინდა, რადგან მადლიერმა სურამელმა ებრაელებმა დიდძალი ოქრო შეუგროვეს და საჩუქრად გადასცეს საქართველოს დაცარიელებულ სახელმწიფო ხაზინას, რითაც დავითმა დაიწყო ბრძოლა საქართველოს გამთლიანებისათვის.

სამწუხაროა, რომ ამაზე ქართველი მემატიანე ჯიუტად სდუმს!

ამრიგად, გარე საფრთხის უქონლობამ ევროპის ქრისტიანულ სამყაროში შიდა საპროტესტო განწყობები გამოავლინა და აღმატებულ ხარისხშიც აიყვანა.

შიდარელიგიური წინააღმდეგობები ევროპაში თავს იჩენს მე-14 საუკუნის დასაწყისში, როცა ქართველები მედგრად ებრძვიან მისი რელიგიური მრწამსის გასანადგურებლად მოვარდნილ მუსულმანურ ტაიფუნს დევიზით: **"ქრისტესა და ქართველობისათვის"!**

ურჯულოებთან უთანასწორო ომებში ერთმანეთის მიყოლებით ეცემიან ქრისტეს სჯულის დამცველი ქრისტიანები, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერდება ქართველ ადამიანში ქრისტიანული რწმენა და ეს სიძლიერე ეფუძვნება არა ბრმა რელიგიურ ფანატიზმს, არამედ ქართული საზოგადოების იმ შინაგან კულტურასა და და შემოქმედებით სულისკვეთებას, რომელმაც ქართველებს გვიბოძა **"ვეფხისტყაოსანი"**, **"ამირანდარეჯანიანი"**, **"ვისრამიანი"**, **"ზარამიანი"**, ჰაგიოგრაფიული ჰიმნები...

ეს გახლავთ ქართული რენესანსის ეპოქა!

აი, როგორ აღწერს კონსტანტინე კაპანელი ევროპული რენესანსის წარმოშობას: **"რენესანსი გათავისუფლების პერიოდია შუა საუკუნეებით დაღლილი ადამიანებისათვის. რენესანსის ცხოვრების სტილი დაკავშირებულია დიდი ქალაქების საქმიანობასთან. ადამიანებმა შეიმუშავეს ახალი სოციალური გარემოს შესაბამისი განწყობა. ჩნდება გონების კულტი, აზრის პატივისცემა, ტანის, სხეულის, სივრცის, სილამაზის ესთეტიკური გრძნობა. რომანტიკა ეუფლება სულს, ფეოდალური კარჩაკეტილობა ირღვევა. ეკლესიური განწყობილება ადგილს უთმობს საერო ხასიათის გრძნობებს. ღვთისმშობელი ეკლესიურ გამოსახულებაში ემსგავსება მადონას. პოეტები ეტრფიან ბეატრიჩეებს, ლაურებს, ფიამეტებს..."**

სიტყვა **"რენესანსი"** ფრანგულ ენაზე **"ხელახლა დაბადებას"** ნიშნავს, ზოგიერთ შემთხვევაში – **"გამოცოცხლებას"**. ამ სიტყვას დღესაც გეოგრაფიულ საზომ ერთეულად იყენებენ ევროპელები და ამ მცნებაში გულისხმობენ ბერძნულ-ელინური კულტურის აღდგენას. რეალურად კი, როცა მე-13 საუკუნის მიჯნაზე ევროპის აბსოლუტური მონარქიები ისტორიულად ვითარდებოდნენ ფეოდალებისა და ვაჭრების ერთმანეთთან ბრძოლაში და იბადებოდა ევროპული რენესანსის იდეა, უკვე მე-12 საუკუნის საქართველოში **"ვეფხისტყაოსნით"** დაიხურა ქართული რენესანსის დიადი ეპოქის პირველი ეტაპი.

ასე რომ, ევროპაში ჩვენ კულტურული შრეების საძებრად არ წავიდოდით, რადგან საკუთარი კულტურული შრეები ვეღარ ეტეოდა ერთი სახელმწიფოს საზღვრებში...

ზოგადად რენესანსი, რომელიც მეოცე საუკუნეში მაოს მიერ გაზრდილ-გამოკვებილმა ჩინელმა იდეოლოგებმა **"კულტურულ რევოლუციად"** მონათლეს, ყველა ქვეყანაში ერთიდაიგივე კალკით ვერ ჩამოყალიბდებოდა. იგი ევროპის ქვეყნებშიც კი ვერ ჩამოყალიბდა თანაბარზომიერად. მაგალითად, გამორიცხული იყო რენესანსის აღორძინება იმ ესპანეთში, სადაც ლამის ყველა მოსახლის ეზოში ინკვიზიციის კოცონი გიზგიზებდა და მამა შვილებს წვავდა კოცონზე კუდიანობის ბრალდებით. ინგლისში რენესანსის შემობრძანება აღინიშნა ვატიკანისაგან გათიშვითა და ანგლიკანური ეკლესიის წარმოქმნით. რაც შეეხება გერმანულ რენესანსს, იგი ლუთერის მიერ გამოცხადებულ ეკლესიის რეფორმას (თუ ობიექტურად შევაფასებთ – კათოლიკური ეკლესიის რღვევას) უფრო უკავშირდება, ვიდრე გოთური კულტურისა და ხელოვნების აღმავლობას...

საქართველოში რენესანსი საზოგადოების სულიერი მოთხოვნის პროდუქტი გახლდათ და სწორედ ამ მოთხოვნამ შვა **"ვეფხისტყაოსანი"**, **"ამირანდარეჯანიანი"**, **"ვისრამიანი"**, **"ზარამიანი"**, ჰაგიოგრაფიული ჰიმნები...

ქართული რენესანსი ჰეროკულია და სიყვარულის სილამაზეს უმღერის, ევროპული რენესანსი ცალკეულ გენიათა განუსაზღვრელი თავისუფლებაა, რაც ასევე შობს პეტრარკას, დანტეს, ბოკაჩოს, სერვანტესს, ლოპე დე ვეგას, კალდერონს, გოეთეს, შილერს... მაგრამ, როგორც კი ეს განუსაზღვრელი თავისუფლება ბრბოს საკუთრებაში გადადის, მაშინვე ხდება გენიოსთა ნაწარმოებების თვითნებური ინტერპრეტირება და შედეგად ვიღებთ სიძვას, გარყვნილებას, მაზოხიზმს, ინცესტს!

ევროპული და ქართული რენესანსის წიაღსვლათა შედარებისათვის მოვიყვან მხოლოდ **"ვეფხისტყაოსანს"**, რომელიც დაწერილია დიდი ესთეტიკურ-აკადემიური და ლიტერატურული კულტურით. ფილოსოფოსთა აზრით შუა საუკუნეთა სიღრმეში ქართული გონება უფრო სწორად არკვევს ხელოვნების ბუნებას, ვიდრე ევროპის აზროვნების დიდი წარმომადგენელი – კანტი. ამიტომ, არავინ იცის რა მიმართულებას აიღებდა ევროპული რენესანსი, დიდ ევროპელ შემოქმედთ რომ რუსთაველის უკვდავი პოემის გაცნობის საშუალება ჰქონოდათ.

მაგრამ ევროპიდან მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

კათოლიკე ბერები ერთმანეთთან რომ გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ (საკუთარ უსაქციელობას ამართლებდნენ იმით, რომ ბიბლია და სხვა წმინდა წერილები მხოლოდ ქალებთან ხორციელ ვნებას გვიკრძალავსო) და, არც თუ იშვიათად, მონაზონ ქალებთანაც ერთობოდნენ, ამაზე ევროპული ქვეყნების ეკლესიის მატიანე პირუთვნელად ღაღადებს, ბოკაჩოს ნაწარმოებებს და ყოფილი კარდინალის, კათოლიკური ეკლესიიდან ექსორიაქმნილი ლეო ტაქსილის **"გულახდილ აღიარებებს"** რომ თავი გავანებოთ. კერძოდ, ჯოვანი ბოკაჩო თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: **"ადამიანი ადამიანია. ეკლესიამ და სქოლასტიკამ ვერ ჩაკლა ადამიანის გულში სიყვარულისა და გატაცების სურვილები"**. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის, რომ ბერები და აბატები, მიუხედავად კათოლიკური მორალის ასკეტური ხასიათისა, გაგიჟებით დასდევდნენ მონასტრებში შეხიზნულ ქალებს, თავიანთ ვნებიან განწყობილებებს ქალებიც ამჟღავნებენ. განსხვავებით რუსთაველის უკვდავი პოემისა, ბოკაჩოს ნაწერებში იგრძნობა ევროპული ყოფის სიცოცხლისადმი ორგანული წყურვილი, **"ისმის გულისთქმა და გატაცებათა ჟღერა, მათი მუსიკა..."**

აღარაფერს ვამბობთ პირველი ღამის უფლების სამარცხვინო ტრადიციაზე, როცა ოჯახის შექმნის უფლება ყმას სენიორისაგან უნდა მიეღო, მაგრამ თუ ქალი სენიორს მოეწონებოდა, პირველ ღამეს თავისთვის დაიტოვებდა. (შეადარეთ ეს ანტურაჟი **"ვეფხისტყაოსნის"** გმირების სულიერებას, რომლებიც ზნეობის უმაღლეს მწვერვალამდე არიან ასული).

მაღალი ზნეობრიობა და უმწიკვლო სულიერება საქართველოში განსაკუთრებითაა გამძაფრებული მე-19 საუკუნეში – დიდმა ილია ჭავჭავაძემ მძინარე ქალის შიშველ მკერდზე თვალის ერთი შევლებისათვის განდეგილ ბერს საშინელი ამქვეყნიური სატანჯველი მოუვლინა, ესეც არ აკმარა და საკუთარ განცდებს შესწირა მსხვერპლად, ხატთან ლოცვად დაყუდებული მონანიე განდეგილი.

ჭეშმარიტად, ქართული სულიერება მართლმადიდებლური რელიგიური ზეობის კულმინაციაა, რომელსაც არ შეიძლებოდა არ ეშვა წამებული უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, გაბრიელ ბერი, მამა ილია კარტოზია!..

მოკლედ, დიდი მუხრან მაჭავარიანის არ იყოს:

**"არა! სხვისი მისაბაძი,**
**რა მჭირს, – თვარა, კი!"**

ილიას ნაწარმოებში გაზვიადებული არაფერია – ქართველი სულიერი მოძღვრები მართლაც ამ უზენაესი პრინციპებით ცხოვრობდნენ. გაზვიადებული კი ის ბოლშევიკური ანტირელიგიური პროპაგანდა გახლდათ, რომლებიც საკუთარი ტყავიდან ძვრებოდნენ საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრების წესის გასამასხრებლად და რომ არა ბუნებით მორწმუნე სტალინის კეთილი ნება, (დღეს ბელადის რელიგიური მრწამსი აღარავისთვისაა სადაო) საბჭოთა კავშირში მართლმადიდებლური რელიგიური მსახურება სიკვდილის მუქარით იქნებოდა აკრძალული ებრაელი მასონი ლევ ტროცკისა და მისი მიმდევრების მიერ.

სწორედ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ტალღას მოყოლილი, ბედის უკუღმართობით რუსეთის ჭირად აღზევებული ებრაელი მასონების (რომელთა სრულად ამოძირკვა ვერ მოახერხა თვით **"ყოვლისშემძლე"** იოსებ სტალინმაც კი) ნაშიერები და გენეტიკური მემკვიდრეები არიან დღევანდელი სააკაშვილები, ბოკერიები, თარგამაძეები, გაბაშვილები, დარჩიაშვილები, თაქთაქიშვილები, ბურჭულაძეები, დეისაძეები, თუთბერიძეები და დანი და ძმანი მათნი. მათ კი ყბედობის უფლებასა და საშუალებას აძლევენ ის ანგარებიანი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ნაყროვანებისა და ხორციელი სურვილების დასაკმაყოფილებლად არიან შეკედლებული წმინდა საეკლესიო სფეროს!

და ეს ყველაფერი მოდის იმ გასაძაგლებული ევროპიდან, რომელიც ერთ დროს ასკეტიზმამდე დასული პურიტანიზმის აკვანს წარმოადგენდა. ამიტომაც ისმის ლოგიკური შეკითხვა:

**– როგორი ევროპისაკენ მიისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები და როგორია ევროპა დღეს?**

ფაქტია, რომ იმ დროისათვის უკვე სულიერებაშემოძარცვული ევროპისაკენ ჩვენ მორალური და მართლმადიდებლური მრწამსის დაცვის ასპექტთა შესასწავლად არ გავეშურებოდით. ჩვენ მხოლოდ ჩვენი რელიგიისა და ეთნიკური კულტურის გადარჩენაში თანადგომაც ვთხოვდით ევროპელებს, ვთხოვდით სამხედრო თანადგომასა და დახმარებას, რადგან იმდენად დიდი იყო მუსულმანური სამყაროს დაწოლა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მართლმადიდებლური რელიგიური მრწამსი დიდი საფრთხის წინაშე იდგა. მაგრამ ევროპელებმა არად შეისმინეს ჩვენი აჯა და ხელცარიელი გამოუშვეს **"თხოვნად გადახვეწილი"** საბა საფრანგეთიდან.

არავის სურდა, რომ იმ დროს საკმაოდ მომძლავრებულ ოსმალეთისა და სპარსეთის სამხედრო მანქანას დაპირისპირებოდნენ ციცქნა საქართველოს გულისათვის, რადგან საკუთარი ქვეყანა და ხალხი ჰყავდათ გადასარჩენი ოსმალური ექსპანსიისაგან.

სწორედ ამან განაპირობა მეფე ერეკლეს ჩრდილოური არჩევანი, თუმცა, ეს უკვე სხვა საუბრის თემა გახლავთ, იმის გათვალისწინებით, რომ ცარიზმის იმპერიასთან ურთიერთობათა დარეგულირებისა და დარეგულირების შემდგომაც, არც ეს გზა გახლდათ ყოველთვის მოფენილი იავარდით!

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველ ადამიანს ნამდვილად არ სჭირდება დღეს ის ცოდვილი და ნამუსახდილი ევროპა, რომლის ძირითად ადამიანურ ორიენტირს მხოლოდ ჰომოსექსუალთა გალაღება და ერთსქესიანთა ქორწინება წარმოადგენს და რომელიც დიდი მონდომებით იბრძვის ინცესტის და სხვა გარყვნილებათა დასაკანონებლად.

**როლანდ ჯალაღანია,**
**გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი**

**P.S.** *ვიცი რომ ეს წერილი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს და მას არც კრიტიკოსთა მწვავე ისრები დააკლდება, მაგრამ ეს ჩემი პირადი თვალსაზრისი გახლავთ, რომელსაც არავის ვახვევ თავს. უბრალოდ, გადმოვეცი ის, რაც მაწუხებს და კიდევ ერთხელ შემახსენებს ნაღვლიან ქართულ ამონაკვნესს: "თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასა"!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღვაში ჩაკლულთა საქმე №...



ქარდავას საქმის ანალოგია ჭუბერელი რეინჯერის, დავით ცინდელიანის გაუჩინარებაც. ამ ორ დანაშაულს ერთნაირი ხელწერა აქვს – ცინდელიანის გაუჩინარების საქმეშიც **კუდ**-ის თანამშრომლები ფიგურირებენ

წყალქვეშა სასაფლაოს კიდევ ერთი საიდუმლო გამჟღავნდება?!

იყო დრო, როდესაც საკუთარი მოქალაქეებისთვის **"ტერაქტების მოწყობა"**-გატაცება-წამება-ლიკვიდაცია ჩვეულებრივი ამბავი და ძლიერთა ამა ქვეყნისა მიზნის მიღწევის ერთგვარი საშუალება გახლდათ. გასულ წელს შს მინისტრმა მოსახლეობას ამცნო, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეების ძიება დაიწყო და მათში ყოფილი რეჟიმის მაღალჩინოსნების დანაშაული იკვეთებოდა. რამდენიმე დღის წინ სამართალდამცველებმა 2008 წლის აგვისტოში გაუჩინარებული თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის, პაატა ქარდავას საქმე გახსნეს, რომელშიც იკვეთება შემზარავი სისტემური დანაშაულებრივი სქემა.

**შსს**-ს ინფორმაციით, პაატა ქარდავა **კუდ**-ის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა და ხურჩის ტერაქტში ბრალდებულმა რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღის ერთი გასროლით მოკლა და ცხედარი ზღვაში გადააგდო. რომან შამათავა პაატა ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რომელიც, თავის მხრივ, ამას კატეგორიულად უარყოფდა. არ გამორიცხავენ, რომ სამართალდამცველები ამ საქმეში სხვა მაღალჩინოსნების კვალსაც დაადგენენ.

ოჯახი დღემდე იმედს არ კარგავდა, რომ პაატა ქარდავა შესაძლოა ცოცხალი ყოფილიყო, ამიტომ **შსს**-ს ინფორმაცია მათთვის თავზარდამცემი გამოდგა. გაუჩინარებული ოფიცრის ქალიშვილი ქრისტინე ქარდავა ჩვენთან ინტერვიუში იხსენებდა:

"2008 წლის 27 აგვისტოს მე და მამა ერთად გავედით შინიდან. დაახლოებით 11 საათზე მამამ ზუგდიდის ბაზრის კართან დამტოვა, თვითონ სამსახურში წავიდა და მითხრა, საქმეს რომ მოითავებ, დამირეკე და გამოვალო. როდესაც დავურეკე, მითხრა, რაღაც საქმე გამომიჩნდა, შენ ტაქსით წადი და მალე მოვალო. დღის მეორე ნახევარში განგაში ავტეხეთ, ვინაიდან მამას სამივე ტელეფონი გამორთული ჰქონდა. დავიწყეთ ძებნა, ავაწრიალეთ სამეგობრო წრე, თანამშრომლები. პოლიციელებმა გვითხრეს, პაატას მანქანა კოკი-ხურჩის საზღვარზე იყო, წამოვიყვანეთ და ახლა დარჩელის პოლიციაშიაო.

როგორც შევიტყვეთ, მამას მანქანა 27 აგვისტოს ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისთან უნახავთ. პატრულის თანამშრომელი ჩვენი მეზობელია და ჩვენებაშიც თქვა, რომ მანქანა ნახევარი საათი იდგა სოფელში, დანგრეულ შენობასთან. ჩემი ოჯახის წევრები იმ საღამოსვე წავიდნენ ინფორმაციის გადასამოწმებლად. თვითმხილველთა შორის იყო არასრულწლოვანი, რომლის აღწერილობაც მამას ჩაცმულობა-გარეგნობას ემთხვეოდა. მისი მონაყოლით, მამა გადმოუყვანიათ მანქანიდან – აშკარად ეტყობოდა, საკუთარი სურვილით არ მოქმედებდა, არ ვიცი, ან ნასვამი იყო, ან გათიშული. თავისი "მერსედესიდან" გადაუსვამთ ჯიპში და თბილისისკენ წაუყვანიათ. როგორც ჩანს, შემდეგ მამას "მერსედესი" კოკი-ხურჩის საზღვრისკენ წამოიყვანეს, რათა ორიენტაცია აფხაზეთისკენ გვქონოდა. მესამე დღეს საქმე გატაცების მუხლით აღიძრა.

იყო ვერსია, თითქოს მამა ჯაშუში იყო, სამშობლოს უღალატა და აფხაზეთში გაიქცა, თუმცა, ეს ვერ დაადასტურეს. გვეუბნებოდნენ, რომ აფხაზებს ჰყავდათ და ტყვეზე უნდოდათ მისი გაცვლა. არ გამოვრიცხავთ, რომ მამას გაუჩინარება მის სადაზვერვო საქმიანობას უკავშირდება, მან ისეთი რამ იცოდა, რაც არ უნდა სცოდნოდა და ამიტომ გააქრეს".

გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ბორკილდადებული და თვალებახვეული პაატა ქარდავა **კუდ**-ის მოტორიან ნავში ჩასვეს, გავიდნენ ზღვის სიღრმეში, დაახლოებით 10 კილომეტრზე. შამათავამ თავის არეში ერთი გასროლით მოკლა ქარდავა, ბეტონის ნატეხი გამოაბა და ცხედარი ზღვაში გადააგდო. ჩადენილი დანაშაულისათვის შამათავას თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და განზრახ მკვლელობის მუხლები აქვს წაყენებული.

ქარდავას საქმის ანალოგია ჭუბერელი რეინჯერის, დავით ცინდელიანის გაუჩინარებაც. ამ ორ დანაშაულს ერთნაირი ხელწერა აქვს და როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ცინდელიანის გაუჩინარების საქმეშიც **კუდ**-ის თანამშრომლები ფიგურირებენ. დავით ცინდელიანი სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამმართველოს რეინჯერი იყო. 2008 წლის 16 აგვისტოს ის ქუთაისში მოტყუებით გამოიძახეს, ვითომდა თათბირზე, რის შემდეგაც სპეცრაზმელებმა მამისა და მეგობრების თვალწინ გაიტაცეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აგვისტოს ომის დროს, **კუდ**-მა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის გაშიფვრის დროს დავით ცინდელიანის სიტყვები ამოიღო, სადაც ცინდელიანი რუს გოგონასთან საუბრისას კოდორის ხეობაში ქართულ ტანკებზე ლაპარაკობს. **კუდ**-მა ამ სატელეფონო საუბარს შპიონაჟის კვალიფიკაცია მისცა და ცინდელიანს სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება დააბრალა.

თბილისიდან ქუთაისში ცინდელიანის დასაკავებლად ჩასულმა **კუდ**-ის სპეცრაზმელებმა ის მანქანიდან გადმოათრიეს და თბილისისკენ წაიყვანეს. პირველი დაკითხვა გზაზე მოუწყვეს, რა დროსაც ცინდელიანმა აღიარა, რომ რუსი გოგონა რამდენიმე წლის წინ გაიცნო და რომ ეს ინფორმაცია საუბრისას წამოსცდა, მაგრამ არა შპიონაჟის მიზნით. **კუდ**-ის სპეცრაზმმა გზაში ბრძანება მიიღო, დავით ცინდელიანი ბათუმში ჩაეყვანათ. ბათუმში ჩასვლის შემდეგ დაკავებული ბათუმის **კუდ**-ის სპეცრაზმს გადასცეს და მას შემდეგ მისი კვალი იკარგება.

**ოთარ ვიბლიანი, დავით ცინდელიანის ბიძა:** – პაატა ქარდავასა და დათოს მკვლელობაში ერთი და იგივე ხელწერაა. შვიდი თვეა, რაც გამოძიება მიმდინარეობს. გამომძიებელმა მითხრა, დეტალებიღაა დარჩენილი და ეს საქმეც გაიხსნებაო. რა ვერსიაც იყო თავდაპირველად, ის ვერსია დასტურდება, ანუ დათოც ზღვაში შეიყვანეს, ტყვია დაახალეს და წყალში გადააგდეს. როგორც ვიცი, ამ საქმეშიც შამათავა ფიგურირებს. არიან მოწმეები – **კუდ**-ის სამი თანამშრომელი, რომლებიც შამათავამ ნაპირზე დატოვა და რომლებიც ხელს მას ადებენ.

უცხოეთში მყოფ ემიგრანტ გიორგი ალანიას ვიღაც დაუკავშირდა ინტერნეტით და დეტალურად მოუყვა, რა და როგორ მოხდა. დავრწმუნდით, რომ ის ერთ-ერთი მათგანი (**კუდ**-ელი) იყო, რომელიც შამათავამ ნაპირზე დატოვა. ასე დეტალურად სხვა ვერავინ მიაწვდიდა ალანიას ამ ინფორმაციას. მის გარემოცვაში შამათავას სიმთვრალეში ბევრჯერ დაუტრაბახია, ცინდელიანს მე ავუგე წესიო.

**– თქვენი აზრით, შამათავა ვინმეს დავალებას ასრულებდა?**

– შამათავამ დათა ახალაიას დავალება შეასრულა. როდესაც სპეცრაზმელებს დათო თბილისში მოჰყავდათ, მათ დათა ახალაიამ დაურეკა. ამის შემდეგ ის უკან მიაბრუნეს, ბათუმში ჩაიყვანეს და შამათავას გადააბარეს.

ამით უნდოდათ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს დათო აფხაზეთში გადავიდა. აფხაზეთის **კუდ**-ის სამივე თანამშრომელი, ვინც მათ ბათუმში დახვდა, შამათავას ადებდა ხელს, ამბობდნენ, რომ შამათავამ დათო მანქანიდან გადმოსვა, ჯერ ეკლესიის ნანგრევებისკენ წაიყვანა, მერე ზღვაში გაიყვანა და საათ-ნახევარში უკან მარტო მობრუნდაო. ჩვენი ვერსიით კი, შამათავამ **"მაიმუნა"**, იგივე გიორგი ჩიქოვანი (აჭარის **კუდ**-ის თანამშრომელი) დაიხმარა, მარტო ვერ მოერეოდა დათოს. ჯერ შუბლში დაახალეს ტყვია, მერე ფეხზე ბეტონის ნაჭერი მოაბეს და ზღვაში გადააგდეს...

ბურუსით არის მოცული თავდაცვის სამინისტროს მზვერავის, უფროსი სერჟანტის როინ შავაძის გაუჩინარება-მკვლელობაც, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს **სოდ**-ის სპეცრაზმმა ბათუმის ცენტრში დააკავა. მოგვიანებით შავაძე აჭარა-გურიის საზღვარზე, სოფელ ქაქუთთან დახვრეტილი იპოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, შავაძე ნარკოტიკების გამო დააკავეს, ეტაპირებისას კი გაქცევა სცადა და ჩაცხრილეს. არაოფიციალურად ცნობილია, რომ შავაძეც ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. საქმე დღემდე გაუხსნელია.

**ციცინო შავაძე, როინ შავაძის ქვრივი:** – ჩემი მეუღლის გატაცება-მკვლელობაში წინა ხელისუფლების კვალი რომ იკვეთება, უდავოა. დარწმუნებული ვარ, როინმა რაღაც იცოდა, მათ საიდუმლოს გამჟღავნების შეეშინდათ და ამიტომაც მოიშორეს. როინი მთავარი მზვერავი იყო და ბევრი რამ იცოდა. 15 აგვისტოს ჩამოვიდა ომიდან და სამსახურში გამოცხადდა. მეორე დღესვე აიყვანეს ბათუმში და მის ასავალ-დასავალს დიდი ძებნის შემდეგ პროზექტურაში მივაკვლიეთ. 24 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი – ფეხები, ხელები, თითები, კისერი დამტვრეული ჰქონდა, წელშიც გადატეხილი იყო და ამათ რომ ჰკითხოთ, ასეთი დასახიჩრებული კაცი თურმე გარბოდა. კაცს 15 ორდენი ჰქონდა მიღებული, სიგელებსა და ორდენებს სამშობლოს მოღალატეს აძლევდნენ?! ისიც კი დააბრალეს, ნარკოტიკი ჰქონდა ჯიბეშიო. მერე გვითვლიდნენ, აგერ არის მკვლელი **"მაიმუნა"** (რომელიც გაქცეულია, ამბობენ, ლონდონშიაო) და მოკალითო. ისიც გვითხრეს, 50.000 აიღეთ და გაჩუმდითო. დაფარული ნომრებიდან გვირეკავდნენ და გვემუქრებოდნენ, დაგხოცავთ, სოფელში წყალს მოგიწამლავთო.

თვე-ნახევრის წინ დამიკავშირდა პროკურორი და შეხვედრა მოითხოვა. ჩემს ადვოკატს უთხრეს, რომ გამოძიება მიდის და ყველაფერი გაირკვევა. მას შემდეგ სიახლე არაფერია. ნეტავ ის დღე დადგებოდეს, ჩემი ქმრის მკვლელები დასჯილი ვნახო.

დღემდე გაუხსნელია ანაკლიის მკვიდრის, 43 წლის გოგიტა აბულაძის საქმე, რომელიც 2012 წლის 18 იანვარს გაუჩინარდა. იგი სახლიდან სამსახურში, სასტუმრო **"ანაკლიაში"** წავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. წინა ხელისუფლება ოჯახს არწმუნებდა, რომ აბულაძე რუსეთის აგენტი იყო, შემჩნეული ჰყავდათ ტერაქტების მოწყობის მცდელობაში და ამიტომ აფხაზეთში გაქცევით უშველა თავს.

**ნანა აბულაძე, გოგიტას და:** – თავდაპირველად გვაჯერებდნენ, რომ გოგიტა აფხაზეთში გადავიდა. მოწმეც ამბობს, რომ ნახა, როგორ გადააცილა ის მალხაზ პაჭკორიამ (სამეგრელო-ზემო სვანეთის კონტრდაზვერვის უფროსის იმჟამინდელმა მოადგილემ) თავისი მანქანით აფხაზეთში. აფხაზეთშიც გავიკითხეთ, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს. ჩემმა ძმამ გაუჩინარებამდე 13 იანვრით დათარიღებული წერილი დატოვა, სადაც წერდა, **"აფხაზეთში გადავდივარ და ამის შესახებ იცის მალხაზ პაჭკორიამო"**. ანაკლიაში, ჭაობში ნახეს 5 კაცის ჩონჩხი, მაგრამ ვერ ამბობენ, ვისია. გვინდა, ვიცოდეთ, ურევია თუ არა მათში გოგიტას ძვლები. ამას წინათ შევხვდით ალექსანდრე ჭიკაიძეს, რომელმაც გამოგვიცხადა, ხუთ ნაპოვნ გვამში გოგიტა არ ურევიაო. ვკითხეთ, ექსპერტიზა თუ ჩაატარეთ ან **დნმ**-ის ანალიზი გააკეთეთ-მეთქი და ამაზე პასუხი არ აქვთ. იყო ასეთი ვერსიაც, თითქოს გოგიტა ანაკლიის სასტუმროს კედელში ჩააბეტონეს.

რაც კი სამეგრელოში აფეთქებები ხდებოდა, უნდოდათ გოგიტასთვის დაებრალებინათ და ჯაშუშად გამოეცხადებინათ (იმხანად სხვადასხვა შენობაში ყუმბარებს პოულობდნენ). კარგა ხანს მოღალატის ოჯახსაც გვეძახდნენ. გვეგონა, ჩემი ძმა იმ ხელისუფლებას გაექცა და არჩევნების მერე მაინც გამოჩნდებოდა ან ნიშანს მოგვცემდა, მაგრამ არც ცოცხალი ჩანს, არც მკვდარი.

**ნანა ფიცხელაური**
**ინტერნეტსაიტი ამბები.გე**

# გლეხთა ვარამი

არსებული ინფორმაციით, საძოვრების პრობლემა, სამეგრელოს შემდეგ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში გააპროტესტეს.

წლების წინ, მას შემდეგ, რაც ეკონომიკის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საძოვრების გაყიდვა დაიწყო, საპროტესტო აქციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პერმანენტულად იმართება. მოსახლეობა ჩივის, რომ ისინი პირუტყვის გამოკვებას ვეღარ ახერხებენ.

ამას წინათ ჩუმლაყის მოსახლეობამ პირუტყვი გამგეობის წინ მირეკა და ამ ფორმით საძოვრების გაყიდვა გააპროტესტა. ჩუმლაყელი უჩა ქემაშვილი აღნიშნავს, რომ ბოლო 2-3 დღეში კიდევ ერთი მინდორი გადაიხნა და სოფლის პირუტყვს მშიერს ტოვებენ.

**"ჩუმლაყში საძოვრების საკმაოდ დიდი ფართობი იყო. ყოველ მეორე ოჯახს საქონელი ჰყავდა. ნელ-ნელა საძოვრების გაყიდვა დაიწყეს და მოსახლეობაც იძულებული გახდა პირუტყვი შეემცირებინა, ვინაიდან მათი გამოკვება შეუძლებელი გახდა. 45-50 სული ძროხა გვყავდა თითოს ნახირში, იყო სულ 6 ნახირი. ახლა არის ორი ნახირი და თითო ნახირში არის 10 სული ძროხა, რადგან მეტს ვეღარ ვუვლით, აღარ არის საძოვარი. ვისაც უნდა, იმან იყიდოს მიწა, მაგრამ ჩვენ საძოვარი დაგვიტოვონ",** – ამბობს უჩა ქემაშვილი.

ჩუმლაყელები ამბობენ, რომ მათ შეხვდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი და პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. ხალხი კატეგორიულად ითხოვს, სახელმწიფომ სოფლის გაყიდული მიწა გამოისყიდოს ან ახალი ფართობი გამოყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი აქციებით იმუქრებიან.

**"ეს ბოლო საძოვარი ისე გადახნეს, რომ არავინ ვიცოდით, თუ ისიც გაყიდული იყო. თანაც ამ საძოვართან იყო წყალი, სადაც პირუტყვი დაგვყავდა, ახლა წყალთან მისასვლელი გზაც მოგვესპო. თუ 3 დღეში ეს პრობლემა არ მოგვარდება, აქციებს განვაახლებთ. თუკი სოფელში ძროხები აღარ გვეყოლება, მაშინ აქ ცხოვრებას რა აზრი აქვს? ჩვენი სოფლის საძოვარს რომ ყიდიან, ჩვენც ხომ უნდა გვკითხონ რამე. ის მაინც ხომ უნდა იფიქრონ, საქონელი რითი გამოვკვებოთ",** – ამბობენ ჩუმლაყელები.

გურჯაანის გამგებელი გივი გერგიძე მოსახლეობის მიერ გამართულ აქციას პროვოკაციას უწოდებს და ამბობს, რომ ჩუმლაყელებს საძოვრების პრობლემა არ აქვთ.

**"აქ მოსაგვარებელი არაფერია. საუბარია მხოლოდ 1,17 ჰექტარ მიწაზე, რომელიც 2010 წელს გაიყიდა. შემდეგ ეს მიწა იყო მიტოვებული და მოსახლეობა საძოვრად იყენებდა. მიწის ახალმა მყიდველმა გადაწყვიტა 1,2 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს და ხილის შესანახად სამაცივრე დანადგარები დაამონტაჟოს, რაც თავად ამ სოფლისთვის არის ძალიან კარგი. ეს არის პროვოკაცია. როგორ არ არის საძოვარი? აბა, სად აძოვებენ ამდენ ძროხას, ცხვარსა და თხას",** – ამბობს გივი გერგიძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც ირწმუნებიან, რომ საქართველოში საძოვრების პრობლემა არ არსებობს. დანელიას უწყებაში აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში არსებული პირუტყვის სულადობის გათვალისწინებით საძოვრები საკმარისია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ **"ქართული ოცნება"** ხელისუფლებაში მოსვლამდე სწორედ საძოვრების პრობლემაზე და სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებაზე საუბრობდა. მოსახლეობას გაყიდული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილის გამოსყიდვასაც კი დაპირდნენ, თუმცა მოგვიანებით განაცხადეს, რომ სამართლებრივად ეს პროცესი არც ისე მარტივი იყო.

სხვადასხვა პერიოდში საძოვრების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა სიღნაღის რაიონის დაბა წნორში, ტერიტორიული ორგანოს შენობასთან 100-მდე ადგილობრივმა განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს ფარულად 50 ჰექტარამდე საძოვარი გაიყიდა და იძულებულები არიან პირუტყვის სულადობა შეამცირონ. მსგავსი მოთხოვნით აქცია გაიმართა ყვარელში, ხობში, მარტვილში, წყალტუბოში.

ძალიან ბევრი ფაქტი არსებობს იმისა, როდესაც საძოვარი სახნავ-სათესი მიწის კატეგორიაში გადაიყვანეს და ისე გაყიდეს. მსგავსი ფაქტი ახალი ხელისუფლების მმართველობის დროსაც მრავლად იყო, სანამ მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის პროცესი შეჩერდებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბჭოთა პერიოდში სულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 მილიონი ჰა მიწა არსებობდა, აქედან 850-900 ჰექტარი მიწა სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. მრავალწლიანი ნარგავები (ვენახი, ხეხილი, ჩაი) 260 ათას ჰექტარს ითვლიდა, დაახლოებით, 400 ჰექტარი საძოვრებისთვის იყო განკუთვნილი, დიდი წილი ეჭირა ალპურ სათიბებსაც.

სოფლის მეურნეობის ექსპერტის, თამაზ კუნჭულიას განცხადებით, მაშინ ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა არ ხდებოდა (საძოვრის სახნავად გამოყენება), თუმცა მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების დეცენტრალიზაცია მოხდა, ყველაფერი დასაშვები გახდა.

**მაკა ხარაზიშვილი**

# ალიფაშამ დაგვიბარა!

ეეხ და კიდევ ერთხელ ეეხ, ბატონო ბიძინა! რა ხდება საქართველოს თავს? ამდენი მოღალატე ერთად როგორ მოძებნეთ? რა საშინელი დავალება მოგცათ ამ სულწაწყმედილმა ამერიკამ, რომ ვინც (ძირითადად) კი სახელმწიფოს მართვაში მოიყვანეთ, ყველამ გიგანათ! მარგველაშვილიო, ალასანიაო, რესპუბლიკელებიო, ეხლა კიდევ, ადამიანის (საინტერესოა ვისი) უფლებების ე.წ. დამცველი, უჩა ნანუაშვილი გამოვიდა **„დაჩაგრულთა“** დაცვის ასპარეზზე!? ქალბატონ წულუკიანს, საააჯო უსტარი აახლა, შენს მუხლებს შემოვევლე, როგორმე პედერასტები არ დამეჩაგროს და კანონში ისეთი პუნქტები შეიტანე, რომ მათ ამ ცისქვეშეთში ყოველგვარი შეფერხებების გარეშე იპარპაშონო! ამ ადამიანებს მიმსგავსებულმა სუბიექტებმა – ყველა ჯურის **ასო**-ებმა (ლომჯარიები, გიგაურები, მარად მწვანე იურისტები და კიდევ ბევრი **„პრაშმანდოვკა“**, უცხო ქვეყნების მიერ მოსყიდულ-დაფინანსებული სუბიექტები, თავს რომ იკლავენ ამ გადაგვარებულების ვითომ უფლებების დაცვაზე, რომელიმემ ხმა თუ ამოიღო, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი უმოწყალოდ ხვრეტდა ქუჩაში, დღისით-მზისით, ბუტა რობაქიძეს? სანდრო გირგვლიანს? ზურა ვაზაგაშვილს? გიორგი გამცემლიძეს? აკადემიკოს გურამ შარაძეს? და კიდევ რამდენი?! რომელიმე მათგანზე თუ ამოიღეს ხმა? ზრდილობის გულისათვის წამოიკნავლეს და ამით დაამთავრეს! ისე ამათ, **ასო**-ებს მინდა ვკითხო, თუ იციან მათსა და პედერასტებს შორის რა განსხვავებაა? არაფერი. პედერასტები რასაც აკეთებენ, აკეთებენ მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის, ხოლო **ასო**-ები, მხოლოდ ფულისათვის! რატომ არ ინტერესდებით ვინ და რატომ აფინანსებს მათ ასე გულუხვად? საქართველოს სასიკეთოდ, რომ არაფერს მოიმოქმედებენ, ეს ხომ ფაქტია?

ბატონო ბიძინა, ნამდვილად კარგი საქმე გააკეთეთ საქართველოს მოსახლეობის (!) თანადგომით, რასაც ჰქვია ნაცების პოლიტიკური ასპარეზიდან მოცილება, მაგრამ, ვაი, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის იქით აღარ წახვედით, ანუ საქმე შუა გზაში მიატოვეთ, თუ მიგატოვებინეს! ოქტომბრის დასაწყისში ნაცები გატრუნულები იყვნენ ძუძუს გოჭებივით, მაგრამ როცა იგრძნეს, რომ საფრთხე აღარ ელოდათ, ხმა ამოიღეს და ისე ხმამაღლა რომ ინგას ტელევიზიიდან, (აი მანდ არის სრული განუკითხაობა, თუ არის, როგორც უნდათ ისე ხმარობენ ცხონებული ბადრის ტელევიზიას!) არა მარტო, ხალხს ლამის მკვდარი და ცოცხალი აგინონ! უკვე იქამდეც მივიდნენ, რომ მიტინგების გამართვაც (მართალია მცირერიცხოვანის) დაიწყეს ხელისუფლების (!) გადაყენების მოთხოვნით! აი, ეს არის ის, რასაც ქართველი ხალხი არ ელოდა! და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ხალხში მოთმინების ზღვარი იშლება! მერე გვიან იქნება თითზე კბენანი!

ბატონო ბიძინა, ბარემ აქვე ერთსაც გეტყვით, რასაც თქვენი გარემოცვა არ გეტყვით იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ჩემი სათქმელი მათ ეხებათ! საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის! დასაწყისში ნაწილობრივ მოგახსენეთ: თქვენს მიერ შეკრებილი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს! დავიწყოთ განათლების მინისტრით. ჯერ იყო მარგველაშვილი, რომელმაც თავის მოადგილედ მოიყვანა თავისი ბუღალტერი, სანიკიძე! მარგველაშვილი ძალით დაგვინიშნეთ პრეზიდენტად, ხოლო სანიკიძე ჩაასკუპეთ მინისტრის სავარძელში! საინტერესოა განათლების რა ასეთი მაღალი ცენზი გაჩნია ან ერთს, ან მეორეს, რომ ასეთ საკვანძო თანამდებობაზე ნიშნავთ? როგორი გაპარტახებულიც დატოვეს ნაცებმა განათლების სისტემა, ისევეა დღესაც! ისეთივე განუკითხაობაა როგორიც იყო ნაცების დროს! ქართველ ბავშვს გოგებაშვილის დედა ენას რომ წაართმევ და სექსზე რაღაც საზიზღრობების სწავლებას დაუწყებ, შენ დედა გქვია? რა უნდა ამისთანა სუბიექტებს განათლების სისტემაში? შემდეგ! სვანეთში ცხოვრობდა შესანიშნავი, ფრიად პატივცემული ქალბატონი ლუბა ნიჟარაძე, რომელიც სპეციალობით იყო ექიმი. იგი გულისტკივილით ამბობდა, რომ რაც ენგურჰესი აშენდა, სვანეთში მოიმატა ფილტვებით დაავადებებმაო! ეს თქვენი ენერგეტიკის მინისტრი, კალაძე, რომ გაიძახის, გინდა თუ არა ხუდონჰესი უნდა ავაშენოო, და რა მოუვა სვანეთს და სვანებს ეგ მე არ მაინტერესებსო! საინტერესოა, ბატონ მინისტრს თუ მოეხსენება, რომ საქართველოში წლის განმავლობაში დაახლოებით 260 დღე მზიანია? შე ოჯახაშენებულო, ამისთანა უნიკალური საშუალება გაქვს და რატომ არ იყენებ, თუ რამე ბნელი აზრები არ გამოძრავებს? ასევე იცის თუ არა, რომ საქართველოში გვაქვს 26.060 დიდი და პატარა მდინარე! რატომ არ გინდა გამოიყენო? მაინცა და მაინც სოფელი ხაიში გინდა წყალში ჩაახრჩო?! ან ეკლესიას გადავიტანთო, რომ გაიძახის, ასწავლეს ნაცებმა ძეგლების წინ და უკან ტარება? ამ გაღლეტილ საქართველოს რად უნდა შერიგებისა და ჩახუტების, ევროპასთან ინტეგრაციის და დიასპორის სამინისტროები, თავიანთი სახელმწიფო მინისტრებით? თუ რამის გამკეთებლები არიან, რა დეპარტამენტის დონეზე ვერ იმუშავებენ? თუ ნაკლები თანამდებობა არ ეკადრებათ? ხედავთ რამდენი თანხა დაიზოგება ამ მონსტრების გაუქმებით!? ჯერ იყო და ფანჯიკიძე დანიშნეთ საგარეო საქმეთა მინისტრად? სუბიექტი, რომელიც ვერ ხედავს სხვაობას სტალინსა და ჰიტლერს (!) შორის, როგორ შეიძლება ის სადმე, რაიმე თანამდებობაზე დაინიშნოს? არ იცის თუ, არ უნდა იცოდეს, რომ საქართველოდან დიდ (დიახ, დიდ!) სამამულო ომში 750.000 ადამიანი წავიდა და იქიდან უკან აღარ დაბრუნდა 40%, ანუ 300.000 მებრძოლი! და ამ დროს ეს ქალბატონი ბედავს და ამ, მართლაც დასაფასებელ ხალხზე ამრეზით ლაპარაკობს! ანდა მის შემცვლელად მოგყავთ განაწყენებული (ფანჯიკიძესთან ერთად ეგეც გადამდგარი) სუბიექტი, ეგ ქვეყნისათვის რამეს სასიკეთოს გააკეთებს? არა მგონია. იმიტომაც არის ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი საზღვარგარეთ ასე დაბალი! კარგად გვახსოვს, შალახოს ჰანგების ფონზე, ევროპასთან ინტეგრაციის საბუთზე ხელმოწერის დროს, სააკაშვილი წინარიგებში იჯდა და მარგველაშვილი და ბერუჩაშვილი გალიორკაზე ისხდნენ! ამ ბოლოს ხომ სულ დახურეთ, ხიდაშელითავდაცვის მინისტრად! ქმარი პარლამენტის დირექტორი, ცოლი მინისტრი! ვაშა და ურა! შენ დაუკა!

ბატონო ბიძინა, თქვენ შეიძლება თქვათ მე რა შუაში ვარო, მაგრამ არა. თქვენ ცენტრში ხართ! ეს უვარგისები, დღეს საქართველოში, რომ ბოგინობენ თქვენი მოყვანილები არიან, და ნათქვამია ძაღლი ვინც მოკლა იმან გადაათრიოსო!

ისე რამოდენიმე სვლა კარგი გამოგივიდათ! პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი (კი მეცოდება ეს ყმაწვილი ამ მგლების ხელში, მაგრამ არა უშავს, ეგ ისეთი კერკეტი კაკალი სჩანს, რომ ადვილად თავს არავის დააჩაგვრინებს. ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი და ხალხი მის გვერდით არიან!), ჯანდაცვის მინისტრად დავით სერგეენკო! ორივე ნამდვილად უნაკლოა! ესე იგი საქართველოშიც შეიძლება მოიძებნოს სამშობლოს მოყვარული ადამიანები! გახსოვთ ალბათ, იყო ასეთი გადაცემა – **"ჩვენ ვეძებთ ტალანტებს"!** ეძიებდე და ჰპოვებდეო! და კიდევ ერთი! 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, **„ქართულ ოცნება“**-სთან მუშაობდა ბევრი თემატური ჯგუფი. მათ შორის იყო აკადემიკოს პაატა გიორგაძის ჯგუფი, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა სასმელი წყლის მოძიება, ჩამოსხმა-გატანის საკითხებზე! როგორც ჩემთვის არის ცნობილი, აღნიშნული პროექტი თქვენს მიერ იქნა მოწონებული და აღთქმული, ყოველგვარი მხარდაჭერისათვის! რა მოხდა? რატომ უგულვებელჰყავით ქვეყნისათვის ესოდენ აუცილებელი და საჭირო თემა?! ვის არ აწყობს საქართველოს წარმატება, რომელსაც ეს **„წყალი ჩვენი არსობისა“** მოუტანს? საკმაოდ ბევრი დრო დაიკარგა ვიღაცეების ყურებაში! ისე ნუ იფიქრებს მავანი – **„მაძღარს მშიერიც, მაძღარი ეგონაო“!** აქაც გარე ბიძიების ნებართვა გვინდა? დროა სამშობლოს მივხედოთ! გავიღვიძოთ!

ზოგიერთების ჯიბრზე, თხემით ტერფამდე მართლმადიდებელი ქართველი,

**ანზორი დანელია**

# 21-ე საუკუნის მონობა და ქართველები სტამბოლის "ბაზარზე" – საშინელი ისტორიები, რომლებიც სამუშაოს მაძიებელ ქართველებს თურქეთში გადახდენიათ

თურქეთში სამუშაოდ ჩასული ქართველების მოტყუება, ტრეფიკინგისა და კორუფციის შემთხვევები – ეს ის პრობლემებია, რომელზეც არაერთხელ თქმულა. თუმცა, პრობლემა პრობლემად რჩება. მსგავს შემთხვევებზე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია **"ანტიკორუფციული კავშირის"** ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთობის კომისია მუშაობს. ორგანიზაცია თურქეთში პერიოდულად გზავნის მონიტორინგის ჯგუფებს, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებებს ავლენენ და იქ მცხოვრები ქართველების პრობლემების შესახებ მასალებს აგროვებენ. ჟურნალისტი მონიტორინგის ხელმძღვანელს, თამაზს (სახელი შეცვლილია უსაფრთხოების მიზნით) გაესაუბრა, რომელიც არაერთ მძიმე დანაშაულზე საუბრობს. მათ შორის არის კორუფციული გარიგებები, რომელშიც თურქეთის საბაჟო სამსახურის თანამშრომლები და რამდენიმე ბათუმელია ჩართული.

**"თურქეთის საზღვარზე შესაძლებელია გადაიხადო 200-400 დოლარი და გადახვიდე ისე, რომ არ ფიქსირდება, რომ გადახვედი. შუამავალი არის ქართველი, რამდენიმე ადამიანია ჩართული ამ სქემაში. ჩვენ შეგვიძლია ახლა ჩავიდეთ ბათუმში გავესაუბროთ ერთ-ერთ მათგანს, ეტყვი, გადამიყვანე საზღვარზეო, ის შეგითანხმებს დროს, გადაიხდი თანხას და გადაგიყვანს. ეს ადამიანები თურქეთის მხარეს იცნობენ და მათთან ერთად კორუფციაში არიან ჩართულები. ამ სქემის შესახებ მე თვითონ გავიგე. თურქეთში სპეციალურად თავი დავიდეპორტე, შემდეგ საზღვარზე ფული გადავიხადე და უკანონოდ გადავედი. ათი ათასობით მსგავსი შემთხვევაა, როდესაც ქართულ მხარეს საბაჟოზე ჰყავს ესა თუ ის პირი დაფიქსირებული, რომ გადავიდა თურქეთში, თუმცა, თურქეთს არ აქვს მონაცემები მისი გადასვლის შესახებ",** – ამბობს თამაზი.

**"ანტიკორუფციული კავშირის"** ხელმძღვანელის გია ბურჯანაძის თქმით, ორგანიზაციამ ეს მასალები **შსს**-ს მიაწოდა, თუმცა, მათთვის უცნობია, მოხდა თუ არა ბათუმური დანაშაულებრივი ჯგუფის დასჯა კანონის ფარგლებში.

**"სამინისტრო მეუბნება, რომ ჩვენს მხარეს დარღვევა არ იკვეთება. მოქალაქეს შეუძლია ჩვენი საზღვარი ბიომეტრიული პასპორტით გადაკვეთოს. მაგალითად, მე ვარ დეპორტირებული, ბიომეტრული პასპორტით ქართულ საბაჟოს გავდივარ, ქართული მხარე კი მაფრთხილებს, რომ შენ დეპორტირებული ხარ თურქეთიდან და არ შეგიშვებენ, მე კი ვეუბნები, რომ ნეიტრალურ ზონაში გადავდივარ, ვიღაცას უნდა შევხვდე. ნეიტრალურ ზონამდე გადავდივარ, შემდეგ თურქ მებაჟეებს, რომელთანაც გარიგებული ვარ, გადავყავარ საზღვარზე",** – ამბობს გია ბურჯანაძე.

ამ ხერხით თურქეთის საზღვარზე გადასული ადამიანები არ ფიქსირდებიან, რომ თურქეთში არიან. ამიტომაც გია ბურჯანაძის თქმით, მათ რამე რომ მოუვიდეთ, ან დაიკარგონ, თურქეთის შესაბამისი უწყება რეაგირებას ვერ მოახდენს, ვინაიდან დაკარგული ადამიანი არ იქნება ოფიციალურად დაფიქსირებული.

კორუფციული გარიგებების გარდა, თურქეთში ხშირია ტრეფიკინგის შემთხვევები, როდესაც იქ სამუშაოდ ჩასულ ქართველ გოგონებს პასპორტებს ართმევენ და იძულებით ამუშავებენ. მსგავს არაერთ ფაქტზე საუბრობს **"ანტიკორუფციული კავშირის"** თანამშრომელი:

**"გვქონია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა ქართველი გოგოები, რომლებიც იქ მუშაობენ, უცებ ორი თვით დაკარგულან. წაუყვანიათ და მერე გამოუშვიათ. ეს გოგოები არ ამბობენ სად იყვნენ, რა აიძულეს და ასე შემდეგ. მაგალითად, იყო ერთი შემთხვევა, როდესაც სტამბოლში ერთი ქართველი გოგონა წაიყვანეს და ორი თვე აღარ უშვებდნენ. ის ჩვეულებრივ, თურქეთში სამუშაოდ იყო ჩასული. თურქებმა კი მოატყუეს, წაიყვანეს და სად ჰყავდათ, არ ვიცით. რომ ვეკითხებით ამ გოგოს სად იყავიო, ტირის. გოგონებს მოკვლით აშინებენ და შესაბამისად ისინი ვერ ამბობენ, რა მოხდა. ამას გარდა, მათ რცხვენიათ ამ ყველაფრის მოყოლა.**

**მქონია ასეთი შემთხვევაც: მე პირადად მივსულვარ ერთ-ერთ საროსკიპოში ფარულად, სადაც აღმოჩნდა ქართველი გოგო. მე რომ ლაპარაკი დავუწყე, ტირილი დაიწყო. მითხრა, არ თქვა ჯობია, ორივეს მოგვკლავენო, პასპორტი ჩამორთმეული მაქვს და არ ვიცი, აქ რამდენ ხანს დამტოვებენო. მე ვეუბნები ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალებს, რომ შეგვიძლია ეს საკითხი მოვაგვაროთ, მაგრამ ისინი კატეგორიულ უარზე არიან".**

**"ანტიკორუფციული კავშირის"** კვლევებით, თურქეთში სამუშაოდ წასული ქართველების შემთხვევაში, ტრეფიკინგზე გაცილებით უფრო მძიმე ფაქტებიც იკვეთება. საუბარია ორგანოებით ვაჭრობაზე.

**"შარშან ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი გავუშვით სამუშაოდ ჩაის პლანტაციაში ერთი კვირით. თუმცა, ეს ადამიანი ჩამოვიდა ორ დღეში უკან. მას მეორე დღეს დაუძახა უფროსმა და გამოკითხა ყველაფერი, დედა და მამა თუ ჰყავდა. მერე უთხრა, უპატრონო ხალხი ჩამოიყვანე, ჩვენ ვიზრუნებთ მათზე, თქვენი სახელმწიფო თქვენზე მაინც ვერ ზრუნავსო. თუ დააკვირდებით, საკმაოდ გახშირდა უბედური შემთხვევების რიცხვი თურქეთში. აცხადებენ დაიხრჩო, უგზო უკვლოდ დაიკარგა და ასე შემდეგ. ამ ადამიანებს კლავენ და ორგანოებით ვაჭრობენ. იქ ამაზე სპეციალური ჯგუფები მუშაობენ",** – ამბობს გია ბურჯანაძე.

**"არის შემთხვევები ქალების, ბავშვების დაკარგვისა, ეჭვი არსებობს, რომ მათ ორგანოებით ვაჭრობისთვის იყენებენ. ამას აკეთებენ თურქეთში ე.წ მასონები. როგორც მამლუქების დროს ხდებოდა, სტამბოლში ახლაც გრძელდება მსგავსი შემთხვევები, ოღონდ უფრო კულტურულად. კონკრეტულ შემთხვევებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, ვინაიდან მოკვლევა ახლახან დავიწყეთ. ძალიან საშიშია ამ საკითხზე მუშაობა, თუმცა ამას აუცილებლად დავადგენთ",** – აღნიშნა თამაზმა.

მისივე თქმით, ხშირად დასავლეთ საქართველოდან ბიჭები მიდიან თურქეთში, თუმცა, ვერ პოულობენ სამსახურს, რის შემდეგაც ქურდობას იწყებენ:

**"როცა სამსახურს ვერ პოულობენ, უკან ვერ ბრუნდებიან, იძულებული არიან ქუჩაში მოიპარონ, მერე იჭერენ და სასტიკად სცემენ. თვეში ერთი შემთხვევა მაინც არის დასავლეთ საქართველოში, როდესაც თურქეთიდან გარდაცვლილი ბიჭი ჩამოჰყავთ".**

**"ანტიკორუფციული კავშირი"** ქართველი დასაქმებულების მიმართ უსამართლო მოპყრობის ფაქტებსაც ავლენს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი მუშაობას გააგრძელებენ, ვიდრე მსგავსი შემთხვევები არ აღმოიფხვრება.

**"თურქეთის ხელისუფლებამაც არ იცის, რა ხდება. ვფიქრობ, საქართველომ და თურქეთმა ერთობლივად უნდა იმუშაონ ამ პრობლემებზე",** – ამბობს თამაზი.

**"ანტიკორუფციული კავშირის"** ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთობის კომისია 2004 წლიდან მუშაობს თურქეთში ქართველების საკითხზე. მათ არაერთხელ მიაწოდეს ოპერატიული მასალა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ძალოვანი უწყების პრესსამსახურში ჟურნალისტს განუცხადეს, რომ ყველა მიწოდებულ მასალაზე ხდება რეაგირება და გარკვეულ საქმეებზე დაწყებულია გამოძიება.

**თ. ჯიჯავაძე**

# რომან ფარცვანია: ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მეორედ მომიწევდა იარაღის ხელში აღება




საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი შვილთან ერთად რუსების მხარდამხარ იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამოართვა სახალხო ლაშქრის ბრიგადა **"ვოსტოკის"** მე-2 ბატალიონის ასეულის მეთაურს – რომან ფარცვანიასა და მისი 19 წლის ვაჟს – გიას (გიორგს). მათი ასეული დონეცკის ოლქის დასახლება სპარტაკის ყველაზე სახიფათო ზონაში იბრძვის. საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი რომან ფარცვანია საუბრობს, როგორ მოხვდა შვილთან ერთად აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ძმათამკვლელ ომში. გთავაზობთ ამ ინტერვიუს, რომელიც მიმდინარე წლის 2 ივნისს "იუთუბზე" აიტვირთა.

გია: – ომამდე სპორტით ვიყავი დაკავებული, ვსწავლობდი მზარეულობას. ახლაც, როდესაც სროლები არ არის, ვცდილობ, სასწავლებელში ვიარო.

რომანი: – გია ჩვენი ქვედანაყოფის ფელდშერია. უნარ-ჩვევებს გზადაგზა ვიძენთ, ვინც უნდა იყოს – ჩემი შვილი იქნება თუ სხვა ნებისმიერი მებრძოლი. ყველა ერთნაირად მუშაობს, თითოეულმა თავისი საქმე იცის.

ჩემს ქვედანაყოფში, ჩემს ასეულში არიან აზერბაიჯანელებიც, მე ქართველი ვარ, ყაზახებიც იყვნენ. მრავალეროვანი ასეულია, ისეთივე, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, შეიძლება ითქვას, აი აქ, ჩვენთან კვლავ შეიკრიბა საბჭოთა კავშირი, ჩვენ აქ ერთად ვდგავართ. იმის მიუხედავად, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა – ქართველები აფხაზების თუ ოსების წინააღმდეგ, ერთმანეთის გვერდით ვდგავართ და ლუკმაპურს ვიყოფთ. ჩვენთან არავინ ფიქრობს შურისძიებაზე ან იმაზე, რომ ვიღაცას ზურგში ესროლოს, ღმერთმა დაგვიფაროს!

ჩემს ასეულში არის ოსიც, რომელიც დაჯილდოებულია ჯვრით და ღირსეული მებრძოლია, ჩემი თითოეული მებრძოლი ღირსეული პიროვნებაა, დიდი მეომარი. ყველამ როტაციის გარეშე გამოვიზამთრეთ.

იქითა მხარეს რაც შეეხება, ბევრი აქვთ ტექნიკა, ამუნიცია, მაგრამ სული, სიმამაცე არ ჰყოფნით. ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის არა უკრაინული არმია ან "მემარჯვენე სექტორი", თუმცა ისინიც გვებრძვიან, მაგრამ ძირითადად ნატოს ბლოკის წარმომადგენლები არიან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სულ უფრო ხშირად გვივარდება ხელში იარაღი, დანით დაწყებული, მძიმე ტექნიკით დასრულებული, რომელიც ნატოს შეიარაღებაშია, ნატოს ნუმერაციაც კი აქვს. ვისაც ახსოვს საბჭოთა წლები, ცივი ომი ყოველთვის მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის, ასეა დღესაც – უბრალოდ, ამერიკას ახალი პლაცდარმი სჭირდებოდა ვალების ჩამოსაწერად, რომელიც მსოფლიოს მიმართ აქვს, ამიტომ ჩაითრიეს უკრაინა ამ ომში და ახლა ძმა ძმის წინააღმდეგ და ნათესავი ნათესავის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძვის. ეროვნებით ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი. ვფიქრობ, უახლოეს ხანში აღდგება მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო, ყოველ შემთხვევაში, რაც თავი მახსოვს. და არსებობს კიდევ ისტორიაც, სადაც ბევრი რამ არის ნათქვამი; აგრეთვე, მშობლებისა და ბაბუების მონათხრობი, რომ კავკასიაში ყოველთვის მოხარული იყვნენ რუსეთის.

სააკაშვილმა, რომელიც იქითა მხარეშ უკვე მაღალ პოსტზე დანიშნა, საქართველოს ძირითადი ნაწილი ამერიკას მიჰყიდა. ის, რაც ხალხს გადაუგდეს, მოხელეების ხელფასებს მოხმარდა. ადრეც და ახლაც, ვინც ნორმალურ ხელფასს იღებს, არიან სამხედროები და პოლიციელები, პენსიონერ ბებიას კი პურის ფული არ აქვს. იქ არ არის ისეთი ცხოვრება, როგორც აპიარებენ. კი, ქალაქი ლამაზად გადაღებეს ამერიკული ფულით და მორჩა. ცხოვრება, როგორიც იყო, ისეთივე დარჩა; სამუშაო ადგილები, როგორც არ იყო, ახლაც არ არის.

თუკი ყველაფერი რიგზეა, რატომ მიდიან სამშობლოდან ქართველები? ჩვენი თანამოძმეები უკრაინაში ჩავიდნენ და რუსეთშიც ძალიან ბევრი ცხოვრობს. რა აზრი აქვს უცხოეთში გამგზავრებას, თუ სამშობლოში ცხოვრება კარგია?!

მე ჩემი პირველი ომის შემდეგ წამოვედი, არ ვმონაწილეობდი არც აფხაზეთისა და არც ოსეთის ომში. მე ზუსტად ასეთ ომში, სამოქალაქო ომში ვიბრძოდი, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო, რომლისკენაც გზას იკაფავდა შევარდნაძე. მე შევარდნაძის წინააღმდეგ ვიბრძოდი. იმხანად უკვე მქონდა წოდება – საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი. ცხონებული მამაჩემიც იბრძოდა – დასავლეთ საქართველოში კომენდანტი იყო... აი, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მეორედ მომიწევდა ხელში იარაღის აღება. იარაღი კი იმიტომ ავიღე, რომ ჩემი ორი შვილი აქ დაიბადა. მეორე ნიუანსი არის ის, რომ საღ გონებაზე ვარ, არ ვარ ინვალიდი და იმის ყურება, როგორ ბომბავენ ქალაქებს, იღუპებიან ბავშვები და ქალები, ძალიან მძიმეა; რეალურად ვხედავთ, როგორ იწყებს ფაშიზმი აღორძინებას, აყვავებას ჩვენს წინააღმდეგ და სწრაფად ვრცელდება.

როგორ შეიძლება იმ ადამიანებთან ერთად ცხოვრება, რომელთა წინააღმდეგაც იყო ომი და რომელშიც ჩვენმა ბაბუებმა გაიმარჯვეს?!

რისთვის და ვისთვის იბრძოდნენ ისინი?! – ჩვენი კეთილდღეობისთვის, მშვიდობისთვის.

# „მიმდინარეობს კოორდინირებული შეტევა მოზარდი თაობის ფსიქიკაზე, რაც მიზნად ისახავს მათ ცნობიერებაში უზნეობის ინსტალაციასა და ღირებულებათა სისტემის მოშლას"

ზვიად ტომარაძე, სოსო მანჯავიძე დადიმიტრი ლორთქიფანიძე ფეისბუქ-სტატუსს ავრცელებენ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„გვინდა საზოგადოების ყურადღება შევაჩეროთ იმ შემაშფოთებელ ტენდენციებზე, რომელიც ყველა სახელისუფლებო შტოში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლობით გააქტიურებას მოჰყვა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ მათ ხელშია საპარლამენტო, აღმასრულებელი, საპრეზიდენტო და სასამართლო ხელისუფლებების საკომანდო სიმაღლეები. რესპუბლიკურ პარტიასთან არის აფილირებული ე.წ. ნომენკლატურული არასამთავრობოები და ელექტრონული მედია. რესპუბლიკური პარტია არის მსოფლიო "ლიბერალური ინტერნაციონალის" (liberal international) ნამდვილი წევრი. "ლიბერალური ინტერნაციონალში" გაერთიანებულ პარტიებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება, ადამიანის უფლებათა დაცვის ეგიდით, საკუთარ ქვეყნებში შექმნან პოლიტიკური პირობები იმისათვის, რომ ე. წ. გენდერული იდენტობის ნიშნით, ანტიდისკრიმინაციული ანტურაჟის საფარქვეშ, დაკანონდეს ერთსქესიანთა ქორწინება.**

**ბოლო დროს სატელევიზიო სივრცეში კოორდინირებული საინფორმაციო შეტევა მიმდინარეობს ადამიანის და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის ფსიქიკაზე, რაც მიზნად ისახავს მათ ცნობიერებაში უზნეობის ინსტალაციასა და ღირებულებათა სისტემის მოშლას.**

**აღნიშნული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, ასევე გამოყენებულია ფორმალურად მაღალი დამოუკიდელობის ხარისხის მქონე – სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელმაც წინა კვირაში იუსტიციის მინისტრს წინადადებით მიმართა, რომ ტრანსგენდერთა უფლებების დაცვის მოტივით, შემუშავდეს და დამტკიცდეს სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესი.**

**სახალხო დამცველი არ ამახვილებს სათანადო ყურადღებას ადამიანის სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების დაცვის ჭრილში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის დაპირებული და შეუსრულებელი პოლიტიკური პირობა, მოქალაქეთა უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით, მონოპოლიები მედიკამენტებსა და ენერგომატარებლებზე, პარლამენტის მიერ აღიარებული პოლიტპატიმრების რეაბილიტაციაზე და სხვა უმწვავეს პრობლემებზე. სამაგიეროდ მთელი მისი ყურადღება გადატანილია გარედან თავსმოხვეულ "საშინაო დავალებებზე", რომელთა დღის წესრიგი გაწერილია "ლიბერალური ინტერნაციონალის" მიერ და გამოიყენება "ურჩი" ქართული საზოგადოების დასამორჩილებლად, რასაც ცხადია აღსრულება არ უწერია".**

ზვიად ტომარაძე,
დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი;

სოსო მანჯავიძე,
საკრებულოს წევრი;

დიმიტრი ლორთქიფანიძე,
უფლებადამცველი;

საინფორმაციო სააგენტო „ივერიონი"

# *ყველაფერი, როგორც საქართველოში:* ოდესის ოლქის ახალდანიშნულმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა, ქალაქის პორტი მოხმარებისთვის დასავლურ კომპანიებს გადასცეს

ოდესის გუბერნატორად შეურაცხადი მიხეილ სააკაშვილის უფრო შეურაცხადი პეტრო პოროშენკოს მიერ დანიშვნიდან სულ რამდენიმე დღეში რეგიონში ევროპიდან დელეგაცია ჩავიდა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 15 დირექტორი ოდესის პორტს – სტრატეგიულ სახელმწიფო დაწესებულებას ეწვია. ვიზიტის თემა გახლდათ ობიექტის გაცნობა და მისი შეძენა, – იტყობინება ვესტი.რუ. ამ განზრახვას კატეგორიულად არ ეთანხმებიან საზოგადოებრივი მოძრაობა **„ოდესა – პორტო-ფრანკოსათვის"** აქტივისტები. ამას წინათ 500-მდე ადამიანმა უმაღლესი რადის შენობასთან კიევში საპროტესტო აქცია გამართა – მათ 37 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს იმისათვის, რომ ოდესის პორტი საქონლის უბაჟო შეტანა-გატანის უფლებით სარგებლობდეს. პორტო-ფრანკოს რეჟიმი ოდესაში 1817-დან 1859 წლამდე მოქმედებდა – მისი წყალობით ქალაქი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო კვანძად იქცა. თუმცა ახლა, სააკაშვილის გუბერნატორობისას, პორტი შესაძლოა დასავლურ კომპანიებს მიჰყიდონ. მას ხომ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების გაყიდვიდან პირადი სარგებლის გამოდნობის დიდი გამოცდილება გააჩნია!

იმედია, ახლა მაინც მიხვდებიან უკრაინელები, თუ როგორი საერთაშორისო თაღლითი და არამზადა დაუსვა ოდესელებს გუბერნატორად, დიდ ფულს დახარბებულ ევრო-ამერიკელთა რეკომენდაციით, ასევე დიდ ფულს დახარბებულმა საერთაშორისო არამზადა პეტრე პოროშენკომ. სამწუხაროა, რომ უკრაინელები გაცნობილი არ არიან სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის საქართველოში მოღვაწეობის იმ პერიოდს, როცა ამ გაქნილმა ჩარჩმა თავის ალიკვალ კახა ბუნდუქიძესთან ერთად სარფიანად მიჰყიდა საქართველოსათვის სასიცოცხლო აქტივები უცხოელ ბიზნესმენებს, ხოლო დარჩენილი ქონების მეტი წილი კაპიკებში გადაუფორმა დედამისს – გიული ალასანიას (გაიხსენეთ ამ ქალბატონის მიერ 1 ლარად შეძენილი საქართველოს ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალ მილიონ დოლარად შეფასებული შენობა-ნაგებობები, ძვირფასი აპარატითურთ), საკუთარ ძმებს და თავის მეგობარ-ნათესავებს.

ვაი თუ, უკრაინელებიც, ჩვენსავით, მაშინ მოვიდნენ აზრზე, როცა მათი ქონების გაყიდვით კიდევ უფრო გამდიდრებული დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი ფაცხა-ფუცხით დატოვებს უკრაინის ტერიტორიას!

ასევე, საინტერესოა, რამდენ ხელფასს უხდის სააკაშვილს უკრაინის მთავრობა გუბერნატორობისთვის.

დონეცკის ოლქის ახალი მმართველის, მიხეილ სააკაშვილის ხელფასი თვეში 5644 გრივნას შეადგენს. ამის შესახებ ინფორმაციას ოდესის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმირ კულაკოვი აქვეყნებს.

**"ვალუტის დღევანდელი კურსის მიხედვით, ოდესის ოლქის ხელმძღვანელის ხელფასი თვეში დაახლოებით, 267 დოლარია".**

შეგახსენებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტის № 301/2015 ბრძანებულებით, 29 მაისს საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა მიენიჭა. ამის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დანიშნა.

როგორ გგონიათ, საქართველოში მილიარდების ქურდობით გაწუწკებული სააკაშვილი უკრაინაში ყოველთვიურად 267 დოლარის გასამრჯელოს დაჯერდება?

პასუხი ჩვენსავით გაბრიყვებული უკრაინელებისათვის მიგვინდვია!

**საქინფორმი**

# სენატი მამაკაცთა აბანო ხომ არ არის, რატომ არ შეიძლება იქ ქალიც შევიდეს?

ეს სიტყვები ეკუთვნის XX საუკუნის, უდიდეს გერმანელ მათემატიკოსს, დავით ჰილბერტს.

ყველაფერი მანამდე არსებობს, სანამ აქვს დანიშნულება, ფუნქცია. როდესაც ვინმე ან რაიმე ამ ფუნქციას კარგავს, გადაგვარებასა და საბოლოოდ გადაშენების გზას დაადგება. ეს დებულება ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ბუნების სხვა კანონები, ამიტომ მას პირობითად პირველი ვუწოდოთ.

ძველ, მონათმფლობელურ საბერძნეთში პედაგოგი ერქვა იმ მონას, რომელიც მიუძღოდა ბავშვს სკოლაში და ხელმძღვანელობდა მის აღზრდას ოჯახშიც. უძველესი დროიდან ბავშვის გაძღოლა და აღზრდა იყო მამაკაცის დანიშნულება, ფუნქცია. /პროცენტულად-100/0-თან/ დროთა განმავლობაში, ბავშვის აღზრდას დაემატა განათლება და სწავლება. ამ საქმეში უკვე მამაკაცების გვერდით იყვნენ ქალებიც. აღზრდა-განათლებასა და სწავლებაში, ქალის როლი თანდათან იზრდებოდა, ისე, რომ ჰარმონიულობა არ ირღვეოდა.

ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ქალაქად, ხოლო 60-70-იან წლებში სოფლად, სკოლამდელი და სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე ქალ-მასწავლებელთა პროცენტულმა მაჩვენებელმა 30%-ს მიაღწია. ეს იყო ოქროს შუალედი. 1980-2000 წლებში, ორი ათეული წლის მანძილზე, ისტორიისათვის უმოკლეს დროში, ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ მასწავლებლობა არასასურველ, ნაკლებმიმზიდველ პროფესიად აქცია. დღეს მამაკაცებისათვის მასწავლებლობა სამარცხვინო საქმიანობაა. ახალგაზრდა მამაკაცს ურჩევნია იყოს უმუშევარი, ან შავი მუშა ან გადაიხვეწოს საზღვარგარეთ და ემსახუროს უცხო ოჯახს, ვიდრე იმუშაოს მასწავლებლად. სკოლამდელი და სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემა დაემსგავსა ქალთა აბანოს, სადაც მამაკაცები არ შედიან. ქალ და მამაკაც მასწავლებელთა პროცენტული შეფარდება დიამეტრალურად შეიცვალა (1/99-თან). ამ კატასტროფულ ცვლილებასთან დაკავშირებით, თავს იჩენს მეორე ფუნდამენტური დებულება: რაოდენობრივი ცვლილების ახალ თვისობრიობაში გადასვლის კანონი. ახალ თვისობრიობაში გადასვლა ვინმეს ან რაიმეს ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული. თვისობრივ ცვლილებას თვით ბუნება განსაზღვრავს. მოვიტან რამდენიმე მაგალითს: მინის მცირე მასა, მსგავსად წყლისა, გამჭვირვალე უფეროა. დიდი მასა – გაუმჭვირი მუქი-ლურჯი ფერია. ერთი მამლუქი ბრძოლაში ამარცხებდა ორ ფრანგს, ათი მამლუქი – ათ ფრანგს, ასი მამლუქი მარცხდებოდა ას ფრანგთან.

ჩვენს შემთხვევაში, თვით კანონიც აღმოჩნდა პრობლემის წინაშე. ბუნებამ რაოდენობრივი ცვლილების შედეგად უნდა მიიღოს ერთ-ერთი ისეთი თვისობრივი ცვლილება, რომ იგი თანხვედრაში იყოს პირველ დებულებასთან, რომლის თანახმად საზოგადოება გადაგვარებასა და საბოლოოდ გადაშენების გზას გაუყენოს. საზოგადოებაში ერთდროულად ორივე დებულება ამოქმედდა:

1. მამაკაცის მიერ თავისი დანიშნულებისა და ფუნქციის დაკარგვის შედეგად...

2. რაოდენობრივი ცვლილების ახალ თვისობრიობაში გადასვლის კანონის შედეგად საზოგადოების გადაგვარება და საბოლოოდ გადაშენება.

საქართველოში ახსოვთ გმირი ქალები. როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესების დაცვას ეხებოდა, მაშინ ქალები მამაკაცობდნენ. საბოლოოდ ქალი ისევ ქალადვე რჩება. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს კაცის ქალად გადაქცევა, მაგრამ საუბედუროდ, დღეს რეალობად იქცა. ვაღიაროთ, რომ (გარე ფაქტორები: ევროპა, ამერიკა – ნაკლებად დამნაშავეა) ჩვენ თვითონ **"გავაჩინეთ ვირუსი"** და ჩვენვე ვუწყობთ ხელს მის გავრცელებას. ვირუსის გაჩენა და მისი შედეგი არ გაკვირვებია მის შემქმნელ ხელისუფლებას და აქედან გამომდინარე არც საზოგადოებას. ხელისუფლება და საზოგადოება ასევე, ჩვეულებრივ ღებულობს ხუმრობას: **"გილოცავთ შვილის დაბადებას! ბიჭია თუ გოგო? რა ვიცი, კაცო, როცა გაიზრდება თავად გადაწყვეტს"**. თვით ხუმრობის არსებობის ფაქტი მიგვანიშნებს ვირუსთან შეგუებაზე.

ბატონი გივი სიხარულიძე სატელევიზიო ეთერში ხშირად კითხულობს თავის ცნობილ ლექსს, რომლის ბოლო სტრიქონი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: **"სოფლელებო, ჩამოდით, ჩამოდით ქალაქში! იქნებ როგორმე შევაჩეროთ მამაკაცების ქალად გადაქცევა"**. ჩვენ კი ვიცინით და ვიცინით. ბატონმა გივიმ ეს ლექსი დაწერა რამდენიმე წლის წინ. ახლა სიტუაცია შეიცვალა და მასაც მოუწევს ლექსის სტრიქონის შესაბამისად შეცვლა: **"სოფლელებო, წადით, წადით თქვენს სოფელში, ჩვენ თვითონ ვეყოფით ქალაქს!"**

თუ ჩვენ გადავხედავთ ქალადქცეული ან ქალს მიმსგავსებული ბიჭების ცხოვრების გზას, ადვილად დავადგენთ გადაგვარების მიზეზებს: დაბადებიდან სასკოლო ასაკამდე ბავშვები იზრდებიან უმამოდ, დედიკოს, ბებიას ან ძიძის ხელში. აღმზრდელი ძიძა /პედაგოგი/, მონათმფლობელური საბერძნეთისგან განსხვავებით, აუცილებლად ქალია. სკოლამდელი და სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში ბავშვის აღზრდა, განათლება და სწავლება მთლიანად ქალების ხელში გადადის.

მიმბაძველობა ყველა ადამიანის ბუნებაშია. ეს ყველაზე მეტად და განსაკუთრებით ბავშვებს ახასიათებთ. ისინი არამარტო ბაძავენ თავიანთ აღმზრდელებს, მასწავლებლებს, არამედ მასწავლებელი ბავშვის ცხოვრების იდეალია. ბუნებრივია, ბავშვი უნებლიედ იმახსოვრებს ქალურ ქცევებსაც, ეჩვევა ქალურ სინაზეს, სინატიფეს, ირთვება ქალივით და ა.შ. ეს პროცესი გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში – დაბადებიდან სკოლის დამთავრებამდე. **"ხარი ხართან რომ დააბა ან ფერს იცვლის ან ზნესაო"**. ფერშეცვლილი და ზნეშეცვლილი **"მზეჭაბუკი"** უკვე მზადაა თავი ქალად გამოაცხადოს. ამისათვის მას მცირედი გამბედაობა სჭირდება, გამბედაობა დედის წინაშე. ხოლო ხელისუფლების ან საზოგადოების წინაშე გამბედაობა არც სჭირდება. როგორც კი თავს ქალად აღიარებენ, მათთვის მწვანე შუქი ინთება, რეკლამას უწევენ, ჟურნალ-გაზეთების სახე ხდება, იწვევენ ტელე-შოუებში. ეს ყველაფერი აძლიერებს მოტივაციას და ემატებათ გამბედაობა სხვებმა და სხვებმაც მიბაძონ მათ.

გეტინგენის უნივერსიტეტის სენატში ქალების არარსებობას ხელი არ შეუშლია ქვეყნის ინტელექტუალური, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში მამაკაცების არარსებობა, სხვა მანკიერ მხარეებთან ერთად, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებაზე. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, მალე ქვეყანა დაადგება გადაგვარებისა და საბოლოოდ გადაშენების გზას.

**დემურ კუხალეიშვილი,**
**სოფელ ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, ზუგდიდი**

# ვლადიმერ პუტინმა თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა, – ამის შესახებ რუსულ მედიას პუტინის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა განუცხადა.

**"რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს თბილისში ბუნებრივი ნალექებით გამოწვეული კატასტროფის შედეგად დაღუპულების გამო და გამოხატავს თანაგრძნობას მათ მიმართ, ვინც დაშავდა და ვინც სახლები დაკარგა"**, – განაცხადა დიმიტრი პესკოვმა.

მისივე თქმით, რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციების სამსახურმა საქართველოს მხარეს უკვე შესთავაზა უანგარო დახმარება სტიქიის შედეგებთან ბრძოლაში.

მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის იმ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომელთაც გულთან მიაქვთ ჩვენი გასაჭირი.

# რუსეთ-აფხაზეთის ე. წ. საზღვარზე ვიდეო თვალი დამონტაჟდება

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა არტურ მიქვაბიამ შეხვედრა გამართა მდინარე ფსოუზე არსებული ე. წ. საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაზე განიხილეს ვიდეოთვალის დამონტაჟებასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები. ასევე მიქვაბიამ შეხვედრა გამართა ხისდამმუშავებელი ქარხნის „აფსნის" ხელმძღვანელობასთან.

ქარხნის დირექტორმა ბესლან ბლაბბამ მიქვაბიას ინფორმაცია მიაწოდა საწარმოოს საქმიანობის, პრობლემებისა და ამოცანები შესახებ, – წერს სააგენტო აფსნიპრესი. მიქვაბიამ აღნიშნა, რომ ხისდამამუშავებელი ქარხანა აფხაზეთში თითით საჩვენებლი საწარმოოა თავისი კომფორტული პირობებითა და შრომის ორგანიზებით.

## აქტუალური თემა

# რამდენად მართებულია მიწის გასხვისება ანუ კერძო საკუთრებაში გადაცემა?

***გამოხმაურება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საკვირაო ქადაგებასა და განცხადებაზე მიწის გასხვისების შესახებ***

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმული გამოთქმების გარეშე, აღშფოთებას (გაოცებას, გაკვირვებას) ვერ ვფარავ მაშინ, როცა საქმე ეხება მიწის (საერთოდ, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების) გასხვისებას და, მითუმეტეს, მისი კერძო საკუთრებაში უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე გადაცემას.

მიწა ერთადერთი და სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველია. მის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. მიწა არის საყოველთაო წარმოების საშუალება.

ტერმინი **მიწა** ეკონომიკაში გამოიყენება, როგორც ბუნებრივი რესურსი, რომლის სარგებლობა შესაძლებელია წარმოებაში, ამიტომ აღიარებულია წარმოების ფაქტორად. მიწა არის რესურსი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის და ქვეყნის მშენებლობისთვის გამოიყენება.

როგორც ამ პატარა მიმოხილვიდან ჩანს, მიწას განუზომელი შეუფასებელი როლი აკისრია სიცოცხლის არსებობაში და არ შეიძლება შემოიფარგლოს ვიწრო კერძო საკუთრების უფლებით.

საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში კერძო საკუთრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურთან, როცა ადამიანს, ინდივიდს საშუალება მიეცა ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი. ეს არის ეტაპი, როცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში მოხდა ნახტომი, საწარმოო ძალები შევიდა ახალ თვისებრივ ფაზაში და განსაზღვრა უფრო მაღალი საფეხური (ეტაპი) ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

კერძო საკუთრების აღმოცენებამ ხელი შეუწყო საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას და დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობას. კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა), რომელსაც აქვს ღირებულება და შესაბამისად, ფასიც. მაშინ ის შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც გახდეს. არ ვიზიარებთ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მცდარ (ცრუ) შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს მიწის უცხოელებზე გასხვისება დასაშვებია. ისტორიულად ბუნების პროდუქტებით სარგებლობამ და მითვისებამ თანდათანობით საკუთრების სახე მიიღო და დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა კერძო საკუთრების ფართო ობიექტი არის.

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, არამედ მასთან ურთიერთობაში ექცევა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით, რომელიც განპირობებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული სისტემით.

სამყარო არის ღმერთის მიერ შექმნილი და წარმოადგენს სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საშუალებას. ის არ არის ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური (ეკონომიკური) რესურსი, ამიტომ მიწას არ აქვს ღირებულება და შესაბამისად ფასიც. მისი შეფასება შეუძლებელია და არც ყიდვა-გაყიდვა არის შესაძლებელი.

ადამიანთა საზოგადოებას, თუ სწამთ ღმერთი და აღიარებენ უფალს, მაშინ მის მიერ შექმნილი სამყაროც უნდა ირწმუნონ და მიიღონ საჩუქრად ისევ ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანების არსებობის (სიცოცხლის) შესანარჩუნებლად.

მიწა არის სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველი, მიწის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს. ამიტომ არ შეიძლება მიწა კერძო საკუთრება იყოს.

კერძო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, რომელსაც აქვს ღირებულება, (ღირებულება არის საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა) სახმარი ღირებულება და ფასი. ასეთი ობიექტები (ნივთები) მიეკუთვნება კერძო საკუთრებასაც და მისი ყიდვა-გაყიდვაც შეიძლება, ხოლო რაც შეეხება მიწას ის არც კერძო საკუთრებაა და არც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია.

მიწა სოფლის მეურნეობაში საყოველთაო (მთავარი, ძირითადი) წარმოების ფაქტორია და საერთოდ, ყოველგვარი წარმოების საფუძველთა საფუძველია, რადგან რაოდენობრივად იგი შეზღუდულია. მიწა წარმოების ბუნებრივი ფაქტორია.

მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა, რესურსი თუ სხვ.) არის კერძო საკუთრებაც და ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც.

ამჟამად ფართოდ აღიარებულია შეხედულება, რომ კერძო საკუთრების საგანს (ნივთი, ობიექტი) წარმოადგენს მიწა, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე.

მიწა ერის საკუთრებაა. მიწა სახელმწიფოს შეუძლია გადასცეს თავის მოსახლეობას (მოქალაქეებს) მხოლოდ უვადო სარგებლობაში იმ ოდენობით (ნორმით), რაც მათი საჭიროებისათვის არის საკმარისი და სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევს (შეძლებს) მას. თუ მიწათმფლობელი ეფექტიანად ვერ გამოიყენებს მიწას, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ის და გადაეცეს იმ პირს, ვინც შეძლებს მის ეფექტიან გამოყენებას.

ამრიგად, რაც შეეხება მიწის გაყიდვა-გასხვისების პრობლემას, ის შეეხება მხოლოდ მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილ მატერიალურ რესურსებს.

ქართველ ერს ღმერთმა უბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიწა-წყალი და მისი გაყიდვის უფლება არავის არა აქვს, მით უმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ღმერთი გწამთ?

მიწა არის ერის ხელშეუხებელი სასიცოცხლო საკუთრება და ულევი სიმდიდრე. მიწის გაყიდვა და გასხვისება უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე და მიღებული ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და **„შეჭმა"** ყოვლად გაუმართლებელია და უსასტიკესი დანაშაულია ერისა და ღმერთის წინაშე. ბიბლიაში აღნიშნულია: **„მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა და თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან"** (ბიბლია, ძველი აღქმა, ლევიანნი. თავი25, მუხლი 23. თბ., 1989)

ამიერიდან მაინც უნდა მოეღოს ბოლო სამშობლოს მოღალატეობით საქმიანობას, მანამ სანამ ჯერ კიდევ მცირე დოზით შეგვრჩენია სინდის-ნამუსის გრძნობა, ერისადმი (სამშობლოსადმი) პატივისცემა (სიყვარული) და უფლისადმი რწმენა.

**ჯიჯიკო ადეიშვილი,**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი**

# გოდება უბედურების ზონიდან



**19 დაღუპული ადამიანი, რამდენიმე უგზო-უკვლოდ დაკარგული, თითქმის მთლიანად განადგურებული ზოოლოგიური პარკი, გაქცეული და დახოცილი გარეული ნადირი, დატბორილი შინაური ცხოველების თავშესაფარი და მოშლილი ინფრასტრუქტურა – ეს შედეგი დასტოვა თბილისში, გამძვინვარებულმა სტიქიამ, 2015 წლის 13 ივნისს. საერთო ზარალმა ას მილიონ ლარს უკვე ბევრად გადააჭარბა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება ქალაქს, რომ ეს ჭრილობები მოიშუშოს, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაცვლილ მოქალაქეებს ვერავინ გააცოცხლებს!**

**ამ მძიმე ტრაგედიის ფონზე სასიამოვნო მხოლოდ ის გახლდათ, რომ ადამიანებმა დაივიწყეს პოლიტიკურ პოზიციები, წყენა, ამბიციები, პოზიცია და ოპოზიცია გაერთიანდა და ერთად შეუდგა დამეხილ-დამეწყრილი ქალაქის აღდგენას.**

**ღმერთო, ნუთუ ამგვარი ტრაგედიაა აუცილებელი, რომ ქართველი ერი გაერთიანდეს?!**

დილით საშინელი სანახაობა დამხვდა. მზის სხივებზე ისეთი ამაზრზენი ჩანს ბუნების წუხანდელი ნამოქმედარი, რომ უბედურების ზონის გარდა, ვერაფერი მოვუძებნე სახელად ქუჩას, ხევს, რომელსაც დილდილობით ჩიტების საოცარი ხმები და თავშესაფარის ძაღლების ყეფა აღვიძებდა.

მერიის მაღლივი შენობიდან, კანცელარიიდან, ან ნებისმიერი სამინისტროს ყველაზე მაღალი სართულიდანაც არ გამოჩნდება ის, რასაც ახლა ჩემი აივნიდან ვხედავ. სვანიძის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს საზღვარზე, ვერეს ხეობაში, ფაქტობრივად განადგურებულია.

იავარქმნილია საცხოვრებლები, წყალი სახლების სახურავებს ფარავდა. სანამ წვიმდა, თქეში შეშლილი მდინარის ხმას ახშობდა. წვიმა შეწყდა თუ არა, გაცოფებული ღელეს დამანგრეველმა ღრიალმა გააყრუა გარემო. სანამ კალაპოტს ზემოდან მოტანილი ნაშალით ჩახერგავდა, ვიმედოვნებდი, რომ წყალი მხოლოდ ეზოებს ან პირველ სართულებს დატბორავდა.

კალაპოტი ჩაიხერგა თუ არა, მდინარე ავისმომასწავებლად გაჩუმდა. ქუჩაზე ელექტროენერგია გაითიშა. სიბნელეში თვალის მიჩვევის შემდეგ ძლივს ვარჩევდი როგორ სწრაფად გუბდებოდა წყალი ეზოებში, მერე სახლებში, გაივსო ქუჩა. შიგადაშიგ ისმოდა ხმები, მტვრევის, მინების, კარების... წყალი ელვის სისწრაფით იწევდა მაღლა. ცნობილ, ვაკის სოსისების ქარხანასაც (ეს შენობა ყველაზე მაღალია ამ ხეობაში) დაფარავდა, რომ არა მაშველების თავგამეტებული მუშაობა (ამ წუთებშიც არ ჩერდებიან, წმენდენ ქუჩას და ეზოებს). ფაქტობრივად უმოკლეს დროში შეძლეს გავეშებული მდინარის ჩაკეტილი კალაპოტის გათავისუფლება. შესაძლოა, ვიღაცას ის დრო გაწელილად მოსჩვენებოდა, მაგრამ ღამით ზემოდან და დილით, მზის სინათლეზე ნანახი კიდევ უფრო მიმტკიცებს აზრს, მაშველებმა ნამდვილად თავგამეტებით იმუშავეს. ალბათ ამის შედეგი იყო მსხვერპლი მათი მხრიდანაც. დაღუპულია ერთი მაშველი, ერთიც პოლიციელი, სამოქალაქო პირებიც... მტკივნეული? ამაზრზენია ამის გაფიქრებაც კი, მაგრამ ის, რაც დილით გამოჩნდა, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სტატისტიკა ალბათ მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო ინათებს და გამომზეურდება წუხანდელი ჯოჯოხეთის კვალი.

წყალმა რომ დაიწია, სიბნელეში ისევ გამოჩნდა შენობების კონტურები, მდინარისგან სახურავებზე შეგდებული ავტომობილები. ჩვენი კორპუსის ეზოში ამოსული ხალხი, რომელიც ფაქტობრივად იმ სველი, ტალახიანი სამოსის ამარა დარჩა, რაც სახლიდან გამოქცევის დროს ეცვათ.

არასოდეს დამავიწყდება მათი შემცბარი, შეციებული, შეშინებული სახეები. რახან გადარჩნენ, ერთ წამში წყალწაღებულ ქონებაზე რომ ვერაფერს ამბობდნენ, ერთმანეთს რომ ითვლიდნენ, დაკარგულებს ეძებდნენ.

არასოდეს დამავიწყდება ბიჭები, გაცოფებულ მდინარეს რომ არ უშინდებოდნენ თამაზ ელიზბარაშვილის უკვე განადგურებული თავშესაფრიდან გადარჩენილი ძაღლების ზემოთ ამოსაყვანად. ლანდებივით უსწრაფესად მოძრაობდნენ აღმართებზე, რომ რაც შეიძლება მეტის გადარჩენა მოესწროთ.

იცით რა უსუსურია ცხოველი განსაცდელის, მით უფრო სტიქიური უბედურების დროს? შეშდება, ფაქტობრივად უუნარო ხდება. სამშვიდობოს გამოყვანილებიც კი ისეთი დარეტიანებული იყვნენ, კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ განძრევას. ბიჭები კი უკან ბრუნდებოდნენ სამსხვერპლოდ განწირულების გადასარჩენად. სანამ შეეძლოთ... ასე, ჩემს თვალწინ იბადებოდნენ გმირები.

აღარც ჩიტები ჟღურტულებდნენ ამ დილით. აღარც ძაღლები ყეფდნენ, მათი უმრავლესობა დაიხოცა. დაიღუპნენ დათვებიც, რომლებიც განგებამ ჯერ იმით დასაჯა მკაცრად, რომ ნაადრევად დაობლდნენ ბრაკონიერების ხელით, მერე მედუქნეების ხელში მოხვედრილები დუქან-რესტორნების სტუმრების თვალის სასეიროდ ვიწრო გალიებში გამოკეტეს. სამადლოდ შეიფარა ძაღლების თავშესაფრის პატრონმა და ვაი... აღარც თავშესაფარია, აღარც ძაღლები და დათვების უბედობა ტრაგიკულად დასრულდა.

თითქოს გასული ღამე ცხოველებისთვის იყო განსაკუთრებით საბედისწერო. ვერეს განგრეული კაპალოტი მთელი ზოოპარკის ტერიტორიაზე გაფართოვდა. დაიხოცნენ ცხოველები, მხეცები, ზოგი გაიქცა. არავინ იცის მათი ადგილსამყოფელი. ვიდრე მოძებნიან და უკან დააბრუნებენ, ან გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში დახოცავენ... მე კი ახლა შვილივით დავტირი თეთრი ლომის ბოკვერს, შუმბას, რომელმაც თავისი ერთგული ძაღლი, პუდელი კარაკულა არ დატოვა და მასთან ერთად დაიხრჩო. ჩვენი ბავშვებისთვის ამაღლებული და უბადლო მეგობრობის სიმბოლო იყვნენ ბოკვერი და ლეკვი. ახლა არც ერთია და არც მეორე. მე კი, რომ გაიღვიძებს ჩემს პატარა ვახოს ვერ ვეტყვი, რომ დღეს ზოოპარკში ველარ წავალთ და ველარ ვნახავთ მის საყვარელ გმირებს, დიახ, გმირებს, ასე უწოდებს ვახო ცხოველებს, რომლებიც მისი აზრით, ზოოპარკის გალიებში ცხოვრებას იმიტომ უძლებენ, რომ თურმე ჩვენს სიამოვნებას ცდილობდნენ... ვახოს და კიდევ რამდენ პატარას დაენგრა ლამაზი ზღაპარი?!

აღარ არის ზოოპარკი, რომელსაც რუდუნებით აშენებდა ზურაბ გურიელიძე თავის დაუცხრომელ გუნდთან ერთად. ამბობენ, ზოოპარკში ადამიანის მსხვერპლიაო... რატომ? რა დააშავა ხალხმა, რომელსაც თავისი საქმის კეთილად კეთების მეტი ინტერესი არ ჰქონია? რა დააშავეს ცხოველებმა? რატომ არ აღირსეს მათ ზოოპარკის უსაფრთხო ადგილზე გადატანა? როგორ ელოდებოდა ზურა, აი, ახლა მოიღებენ მოწყალებას და მოგვცემენ ფულს ცხოველებისთვის ახალ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელადო... როგორი ნალოლიავები, როგორი ნაშრომი, რამდენი ფული ჩაიყარა წყალში, წარმოგიდგენიათ, თქვენ, ვინც ხელისუფლებაში იყავით და ვინც ახლა ხართ? იმის ნაცვლად, რომ წინამორბედთა დაშვებული შეცდომები გამოგეძიათ დროულად, საკუთარი სტომაქის კეთილდღეობით დაკავდით, ფეხი არ გქონდათ შედგმული სამსახურებში ხელფასი გეცოტავთ. ახლაც, ბოლო დღეებიც ამაზე ღნავიხართ. ვის რაში სჭირდება ასეთი ხალხი ხელისუფლებაში? რას აკეთებთ, რა შეგიძლიათ? ერთი პატარა, შერეკილი მდინარის ვერაფერი გაგიგიათ.

თბილისის მერმა, ურემი რომ გადაბრუნდა, ახლა გავითვალისწინებთ ვერეს შერყეულ ბუნებასო. ინფრასტრუქტურის მინისტრი რომ იყავი და მერე ქალაქის მერობა რომ დააპირე, ბატონო დავით, პირველ რიგში ქალაქში არსებული რისკზონებით უნდა დაინტერესებულიყავი. ვაი შენ, თუ იმიტომ არ დაინტერესდი, რომ ვერ მიხვდი, რა მნიშვნელობა ჰქონდა მერისთვის ასეთი ინფორმაციის დროულად მოპოვებას. მით უფრო ვაი შენ, თუ უბრალოდ არ გაინტერესებდა ვერე გაგიჟდებოდა თუ არა. არადა, რომ გაგიჟდებოდა, ამაზე დიდი ხანია ყვიროდა ის ხალხი, ვინც თავის დროზე სამსახურებიდან დაითხოვეს (მეტიც, გააუქმეს სამსახურები), რათა ხელი არ შეეშალათ მათთვის, ვისაც საქმის წესისა და რიგის მიხედვით წარმოება არ სურდათ. ყველა საქმე, მით უფრო მშენებლობები წინასწარ დაგეგმილი საზეიმო თარიღებისთვის უნდა დაესრულებინათ. ამ ხუშტურიდან გამომდინარე რეგლამენტირებულ დროში კი წესის და რიგის დაცვით მიმდინარე მშენებლობის ვადები ვერ ჩაეტეოდა. მეტიც, მშენებლობების ხუშტურიანი დამკვეთები პროექტებსაც კი გზადაგზა აკეთებინებდნენ და სულ ფეხებზე ეკიდათ როგორ გადაირეოდა მდინარე ვერე. დიახ, ვერეს აგდებულად უყურებდნენ მაშინ, როდესაც ხეობაში ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზა გაჰყავდათ და ერთი შეხედვით პატარა ღელეს ხელოვნურ, ვიწრო კალაპოტებში ტენიდნენ...

ქალაქის თავნო (პირობითად თავნო, თორემ უთავობის შთაბეჭდილებას ტოვებთ) პანორამა თბილისზე, მირზა შაფის უსახურ პროექტზე, ვარდისფერი დათვის შესახებ ტენდერის გამოცხადებაზე და ათას სისულელეზე ფიქრის და გარჯის ნაცვლად რეალურ პრობლემებზე რომ გეფიქრათ, დღეს თბილისი ჯოჯოხეთურ სასაკლაოს არ დაემსგავსებოდა.

ვერაფერი ანუგეშებს ვერც დაღუპული პოლიციელის ოჯახს, ვერც წყალწაღებული მაშველის ჭირისუფლებს, ვერც იმ ხალხს, ვინც ოჯახის წევრები იმიტომ დაკარგა, რომ ქალაქს კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა არ უვარგა, ავადსახსენებელი ნაციონალების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. ვერც იმ ხალხის ტკივილის მოშუშებას შეძლებთ, უსახლ-კაროდ რომ დარჩა და ბინებით დაკმაყოფილებას რომ დაპირდით. ვერაფერი კურნავს შიშით გამოწვეულ ტკივილს ბოლომდე.

ტყუილად არ დავიწყე ამ გოდების წერილის წერა ისე, როგორც დავიწყე. წუხანდელი ღამე და დღევანდელი დღე არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ მერიის მაღლივი შენობიდან, კანცელარიიდან და სამინისტროების ყველაზე მაღალი სართულიდანაც კი არ ჩანს ქვეყნის, ქალაქის, ქუჩის, მოქალაქეების რეალური სატკივარი. იქიდან მხოლოდ ჩინოსანთა კეთილდღეობა ჩანს, რომელიც მუდმივად ეცოტავებათ საკუთარ სტომაქებზე მოფიქრალთ.

ვინც სტომაქამდე საქმეზე ფიქრობს, წუხელისაც გამოჩნდა. საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს ქალაქის და მოსახლეობის სტაბილიზაციის სამსხვერპლოზე და ზოგიერთი მართლაც მსხვერპლად იქცა.

ახლა ცაზე შვეულმფრენი დაფრინავს ისტერიულად, ერთ-ერთ გადარჩენილ ლომს ეძებენ, ვაკის მიმართულებით გადააადგილდაო... როგორ არ მინდა მისი ლიკვიდაცია გახდეს გარდაუვალი, დროებით დაძინება ვერ შეძლონ და კიდევ უფრო დაპატარავდეს ზღაპარი, რომელსაც ზოოპარკი ჯერ კიდევ ჰქვია.

ჩემო მეგობარო ზურავ (გურიელიძე), გახსოვს? ჩემმა პატარა ვახომ გითხრა, ძნელი საქმე გქონია, ამდენი ცხოველის დირექტორობა იოლი არ უნდა იყოსო... რომ არა, მავანთა უსულგულობა, გულგრილობა და ალბათ უტვინობაც, შენ ღირსეულად უძღვებოდი შენს საქმეს და მჯერა, რომ ზღაპარს ისევ გაუცოცხლებ პატარებს.

**ეკა ლომიძე**

*"ილორის" კომენტარი: "სამწუხაროდ, შეცდომაში გაჯიუტება ძვირი დაგვიჯდა, აშკარაა, რომ წყლის ღვარცოფულმა მასამ ვერ გაიარა იმ არტახებში, მილებში, რომელიც კონსტრუირებულ იქნა ვაკე-საბურთალოს გზის პროექტის ფარგლებში..." – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა სტიქიის მიზეზებზე საუბრისას განაცხადა.*

*არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ აღნიშნული ტრაგედიის ძირითადი მიზეზი გახლდათ ქალაქის ადრინდელი მერის, პატიმარ ირაკლი უგულავას დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მდინარე ვერეს ხეობაში საგზაო ინფრასტრუქტურის გაყვანის თაობაზე, რასაც უნდა განეტვირთა საავტომობილო გზები. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ მნიშვნელოვნად შეზღუდა ღვარცოფის განსაკუთრებული შემოტევით გამორჩეული მდინარის კალაპოტი. სწორედ ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.*

*გარდა ამისა, საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ არაერთგზის დააყენა თბილისის ზოოპარკის სხვაგან გადატანის საკითხი, რადგან ეს ადგილი, ეკლესიურად, დიდი უბედურების ზონად არის მიჩნეულიო.*

*საქმე შემდეგშია – როცა ქვეყანაში, რევოლუციის შემდეგ, ტროცკისტები ბოგინობდნენ, მათ ეკლესიებიდან ჩამოგლიჯეს ბრინჯაოსა და სპილენძის ზარები, გადაადნეს იგი, გაყიდეს და ამოღებული ფულით ააშენეს თბილისის ზოოლოგიური პარკი.*

*როგორ შეიძლება, ამგვარი ცოდვილი ადგილი ბედნიერების მომტანი იყოს?*

*ამის თაობაზე ილია მეორემ მრევლს საკვირაო ქადაგებაში აუწყა.*

# მეგობრის ხსოვნას



ალიკა რონდელი (წოპე) ჩვენი კლასელი იყო. მოგვიანებით მას ბატონ ალექსანდრეს უწოდებდნენ, მაგრამ ჩვენ იგი გავიცანით როგორც ალიკა რონდელი, შევარქვით წოპე და ასეთად შემორჩება ჩვენს მეხსიერებას.

ალიკა საოცრად თავმდაბალი ბავშვი იყო, არ გააჩნდა ქედმაღლობის ნატამალიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მამა დავით რონდელი სახელგანთქმული კინორეჟისორი იყო. წყნარად იჯდა მერხზე და მხოლოდ მაშინ დაილაპარაკებდა, როცა მასწავლებლი შეეკითხებოდა რამეს.

**"ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი ქართველი მეცნიერის, პოლიტოლოგის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე რონდელის გარდაცვალების გამო.**

**ალექსანდრე რონდელის გარდაცვალება დიდი დანაკარგია ქვეყნისთვის. მან მრავალი თაობა აღუზარდა ქვეყანას, სტუდენტებს დასავლური ღირებულებებით ზრდიდა, თვითონაც დასავლური კურსის ერთგული და ჭეშმარიტად პატრიოტი მოღვაწე იყო. ალექსანდრე რონდელის ლექციები გამორჩეულად საინტერესო იყო, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა მისი პიროვნული ხიბლი, პროგრესული აზროვნება.**

**თანავუგრძნობ ალექსანდრე რონდელის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, მის სტუდენტებსა და აღზრდილებს"**, – წერს ჩვენს ალიკაზე საქართველოს ხელისუფალი.

36 მოსწავლე ვირიცხებოდით თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლის (ამჟამად – 53-ე საჯარო სკოლა) მე-10/2 კლასის სასწავლო ჟურნალში, როცა 1958 წელს სასკოლო სწავლის კურსი დავამთავრეთ. ახლა კი, ბედმა-მწერალმა ძალიან შეათხელა ჩვენი რიგები – მხოლოდ თერთმეტიღა დავრჩით. უხმოდ, უპრეტენზიოდ ინაცვლებენ ჩვენი კლასელები ზეციურ საქართველოში და სამახსოვროდ მხოლოდ გაუნელებელ დარდსა და დიდ გულისტკივილს გვიტოვებენ.

აი, მათ რიგებს ჩვენი **წოპეც** შეუერთდა...

მშვიდობით, ჩვენო ძმაო და მეგობარო! მალე შევხვდებით ერთმანეთს!

თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლის მე-10/2 კლასის დარჩენილი მოსწავლეების სახელით,

ზურიკო ქევანიშვილი (ქევანა),
აკადემიკოსი;

ილო ფალავანდიშვილი (ილუშა),
პროფესორი;

მალხაზ კუხაშვილი (კუხო),
მხატვარი, პროფესორი;

როლანდ ჯალაღანია (გოჭო),
საპატიო დოქტორი;

ოთარ ფირცხალაიშვილი (ქოთანა)
პროფესორი...

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# დიდი მატჩის გამოძახილი: ზეიმი კატალონიაში და... ტურინშიც

ჩემპიონთა ლიგის 2014-15 წლების გათამაშება ისტორიის საკუთრებაა, გამარჯვება კი **"ბარსელონამ"** მოიპოვა, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ბოლო ათწლეულის საუკეთესო გუნდი ევროპასა და მსოფლიოში.

ბუნებრივია, რომ ბერლინური მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ კატალონიის დედაქალაქში დიდი ფიესტა დაიწყო, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. დიდი ხმაური იყო ტურინშიც, სადაც გერმანიიდან დაბრუნებულ **"იუვენტუსის"** მწვრთნელ-ფეხბურთელებს დიდი ოვაციებით დახვდნენ.

დიახ, ტურინის ცენტრალურ მოედანზე ათეულობით ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი, რომლებმაც გუნდს თავდადებული თამაშისთვის მადლობა გადაუხადეს. ეს იყო შემთხვევა, როდესაც წაგებული მოგებულზე არანაკლებად დაფასდა საკუთარ ქალაქში საკუთარი ქომაგების მხრიდან.

მოკლედ, ორივე ბანაკში ფეხბურთელები გულშემატკივრებს ემადლიერებოდნენ, გულშემატკივრები კი ფეხბურთელებს და იყო სრული ჰარმონია – ჩვენ კი მატჩისშემდგომ კომენტარებს გავეცნობთ...

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი): "ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში გულშემატკივრებს არაერთხელ მივანიჭეთ სიხარული და დასანანია, რომ ბოლო აკორდი წარუმატებელი გამოვიდა. ზურგს დიდი გამოცდილება მიმაგრებს და ვიცი, როგორ შევხვდე ასეთ მარცხს, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ძალიან იმედგაცრუებული ვარ. მჯეროდა, რომ შეგვეძლო "ბარსელონას" დამარცხება, გუნდის, რომელმაც დაიმსახურა ტრიუმფი".

ანდრეა ბარძალი (იუვენტუსი): "თამაში ცუდად დავიწყეთ და დასანანი გოლი გავუშვით, თუმცა შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ, ანგარიში გავათანაბრეთ და ერთი ხანობა, სრულ უპირატესობას ვფლობდით. ვფიქრობ, იმ პერიოდში "ბარსელონას" გულშემატკივრებს ძალიან შეეშინდათ, თუმცა შემდეგ მოხდა ის, რამაც მეტოქეს გადამწყვეტი უპირატესობა მიანიჭა. ჩვენ თავაწეულნი ვტოვებთ ბერლინს, რადგან მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ".

ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი): "კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ "ბარსელონამ" კიდევ უკეთ იასპარეზა და დამსახურებულად გაიმარჯვა. წარმოუდგენლად რთულია გაანეიტრალო მესი-ნეიმარი-სუარესის ტრიო, რომლებსაც საუკეთესო თამაში არ უჩვენებიათ და მაინც გოლები გაგვიტანეს. "ბარსელონა" ფანტასტიკური გუნდია, ჩვენ კი შესანიშნავი სეზონი გვქონდა და ყველას ვაჩვენეთ, რომ წარმატების მიღწევა არა მარტო იტალიაში, ევროპაშიც შეგვიძლია".

ალვარო მორატა (იუვენტუსი): "გვქონდა მოგების შანსი, მაგრამ დავმარცხდით და არ ვიცი, კიდევ როდის მოგვეცემა ამის შესაძლებლობა. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთი ოჯახი და მომდევნო სეზონში კიდევ უკეთესად უნდა ვითამაშოთ. კლუბის მესვეურები ყველაფერს გააკეთებენ, რომ გუნდი გაძლიერდეს და მჯერა, მთავარი წარმატებები წინ გველოდება. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც ბერლინში ჩამოვიდნენ და მხარი დაგვიჭირეს".

პოლ პოგბა (იუვენტუსი): "ვფიქრობ, რომ მსაჯმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამას უკვე ვეღარაფრით ვუშველით. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ დღეს მაინც "ბარსელონა" უკეთესი იყო. მათ რაღაც ისეთი ჰქონდათ, რაც ჩვენ დაგვაკლდა, ოღონდ არ ვიცი, რა".

ლიონელ მესი (ბარსელონა): "ესეც მეოთხე ჩემპიონთა ლიგა, მეოთხე დიდი გამარჯვება. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ გულშემატკივარი გაგვეხარებინა და ეს შევძელით კიდეც. უკან საოცარი სეზონი მოვიტოვეთ, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება "ბარსელონას" ისტორიაში".

ლუის სუარესი (ბარსელონა): "ეს საოცარი შეგრძნებაა, რადგან ერთ სეზონში სამი დიდი ტროფეი მოვიგეთ. როდესაც ანგარიში 1:1 გახდა, მათ დაწოლა გააძლიერეს და უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. "ბარსელონა" ერთ მუშტად შეკრული გუნდია, ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებული და ეს არის ჩვენი მთავარი იარაღი".

ნეიმარი (ბარსელონა): "ჩვენ ვეთამაშეთ დიდ გუნდს, რომელშიც უდიდესი ვარსკვლავები თამაშობენ და ეს გამარჯვება მით უფრო ფასეულია. წარმოუდგენელი შეგრძნებაა, როდესაც ჩემპიონთა ლიგას იგებ და ამით მილიონობით გულშემატკივარს ახარებ. მადლობა მწვრთნელს, რომელიც მენდო და თანაგუნდელებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ამ დიდი ტრიუმფისთვის".

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა): "ძალიან გამიმართლა, რომ იმ დიდი გუნდის წევრი ვარ, რომელსაც "ბარსელონა" ჰქვია და რომლის შემადგენლობაში უამრავი ტიტული მოვიგე. ძალიან გამიმართლა, რომ წლების განმავლობაში ჩემი თანაგუნდელები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ და არიან. "ბარსა" სხვა ფენომენია, რომელსაც სიტყვებით ვერ ახსნი".

ჟერარდ პიკე (ბარსელონა): "მეოთხედ მოვიგე ჩემპიონთა ლიგა – ერთხელ "მანჩესტერ იუნაიტედში" და სამჯერ "ბარსელონას" რიგებში. დღევანდელი გამარჯვება ამათში ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. როცა ბავშვი ხარ, ბევრს ოცნებობ, დებიუტს "ბარსელონაში", პირველ ტიტულს; ახლა კი ჩვენ პირველი გუნდი გავხდით, რომელმაც ჰეთ-თრიკი ორჯერ შეასრულა. მეჩვენება, რომ უნიკალური გუნდი გვყავს, მთელი თაობა საოცარია და ჩვენ კიდევ ბევრი დრო დაგვრჩა მომავალი გამარჯვებებისთვის".

### მწვრთნელები

როდესაც ლუის ენრიკემ "ბარსელონა" ჩაიბარა, ერთი არაფრით გამორჩეული მწვრთნელი იყო, რომელმაც "რომაში" წარუმატებლად იმუშავა და მხოლოდ იმით თუ დაიკვეხნიდა, რომ კატალონიური გრანდის სამწვრთნელო სკოლა ჰქონდა გავლილი. ამიტომ ლუის ენრიკეს დანიშვნას ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ მისი თავკაცობით, გუნდმა პირველივე სეზონში ტრიპლეტი შეასრულა, რასაც თვითონაც ვერ წარმოიდგენდა:

"ნამდვილად არ მეგონა, თუ პირველივე სეზონში სამივე ტურნირს მოვიგებდით და ეს ფანტასტიკური მიღწევა ჯერ კიდევ არ მაქვს გააზრებული. მადლობა ყველას, ვინც მენდო და გუნდი ჩამაბარა, რადგან უმეტესობა ჩემ მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი. მე მყავს საუკეთესო ფეხბურთელები მსოფლიოში, საუკეთესო მეომრები, რომლებიც თავიანთი საქმით სიამოვნებას იღებენ და ჩვენც გვახარებენ".

ლუის ენრიკეს მსგავსად, კრიტიკით შეხვდნენ მასიმილიანო ალეგრის "იუვენტუსში" დანიშვნასაც, მაგრამ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიც შეცდნენ, რადგან "ვეკია სენიორას" ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და ისეთ სიმაღლეებს შესწვდა, რასაც არავინ ელოდა – თავად ალეგრი შეგირდებს ემადლიერება:

"შესანიშნავი სეზონი მოვიტოვეთ უკან, ორი ტრიუმფით და ჩემპიონთა ლიგის ფინალით, რომელშიც უძლიერეს გუნდს ბევრი არაფერი დავუთმეთ. თამაში დაბნეულად დავიწყეთ, რაც გაშვებულ გოლად დაგვიჯდა, თუმცა შემდეგ დავლაგდით და მოგების შანსიც გვქონდა. "ბარსელონას" სამი გენიალური თავდამსხმელი ჰყავს და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა.

"იუვენტუსი" ვითარდება, ძლიერდება და ეს ფინალი ერთი დიდი ნაბიჯია ამ გზაზე. ჩვენ უნდა დავრჩეთ რვა საუკეთესო გუნდს შორის ევროპაში, რაც კიდევ უფრო გაგვაძლიერებს იტალიაში".

ბოლოს, "იუვენტუსის" სპორტულ დირექტორ ჯუზეპე მაროტას გადავცეთ სიტყვა, რომელმაც ასევე საინტერესო კომენტარი გააკეთა:

"ნიშნავს თუ არა პირლოს ცრემლები "იუვენტუსთან" დამშვიდობებას? – არ ვიცი, თუმცა ჩემი სურვილია, რომ ანდრეა დარჩეს "იუვენტუსში" და კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი ითამაშოს ჩვენთვის. პირლომ უამრავი სიხარული მოუტანა გულშემატკივრებს, უდიდესი ენერგია დახარჯა "იუვეს" ფინალში გასასვლელად და მისი ცრემლებიც სრულიად ბუნებრივი იყო. ალვარო მორატა? – ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა, მაგრამ კონტრაქტში დევს პუნქტი, რომლის ძალითაც ყველაფერი მადრიდის "რეალის" გადასაწყვეტია.

პოლ პოგბა? – აქ განსხვავებული ვითარებაა და რადგან ფრანგის გასხვისება არ გვსურს, ის, ალბათ, ჩვენთან დარჩება. კარლოს ტევესს უნდა დაველაპარაკოთ და თუ წასვლა სურს, მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ. ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე, სატრანსფერო ფანჯარაზე არც ვფიქრობდი და კითხვებზე უფრო კონკრეტულ პასუხებს მომავალში მიიღებთ. უკან გრძელი სეზონი მოვიტოვეთ, რომელმაც ბევრი სიხარული მოგვიტანა, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია".

უნაი ემერი "სევილიას" თავკაცია, რომლის გუნდმაც პირველმა მოიპოვა ევროპის სუპერთასზე თამაშის უფლება, რომელიც, მოგეხსენებათ, 11 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართება. როგორც კი შეხვედრა დასრულდა, ბასკმა სპეციალისტმა "ტვიტერზე" დაწერა – "ვულოცავ "ბარსელონას" გამარჯვებას. თბილისში შეხვედრამდე". ემერი მომავალ მეტოქეს აქედანვე "ემუქრება".

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

## აი, რას წერენ რუსები კახი კალაძეზე?



რუსულმა სპორტულმა გამოცემა სპორტს.რუ-მ კახა კალაძეზე სტატია გამოაქვეყნა სათაურით: **"როგორ ებრძვის კახა კალაძე წყალდიდობას თბილისში"**.

გამოცემა წერს: **"საქართველოს დედაქალაქში საშინელი წყალდიდობა იყო, რამაც მინიმუმ 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ზოოპარკიდან გაიქცა ცხოველები. ამან საქართველოს მთავრობას მილიონობით დოლარის ზარალი მოუტანა.**

**სტიქიას აქტიურად ებრძვის საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე – კიევის "დინამოს" ლეგენდარული ფეხბურთელი".**

## იუმორი

ქმარმა ცოლს შეუსწრო საძინებელში საყვარელთან გართულს... დანა მოიმარჯვა და – მოვკლავ ამ ბინძურ კასცო! – დაიქუხა.

ამ დროს ცოლი ჩაუვარდა ფეხებში: – არ დაგვღუპოო.

– რაო? – გაკვირვებული და გაავებული ქმარი შფოთავს...

ცოლი: – რაო და ის 2-ათას დოლარიანი ქურქი, რომელიც მაცვია თანამშრომლებს კი არ უყიდიათ ჩემთვის, ამ კაცმა მიყიდაო... აი, შენ რომ ბოლო გამოშვების მერსედესით დადიხარ, ბიძაჩემს კი არ უყიდია, ამ კაცმა გიყიდაო... ახლა 3-ოთახიან ბინას არის დაპირებულიო...

ქმარი: მერე შენი დედა მოვ...ნ, კაცი „სკვაზნიაკში“ გიწევს? ფანჯარა მაინც დახურეო.

* * *

შვილი: – მამა, 1000 ლარი მომე რა, დასასვენებლად მივდივარ!

მამა: – მითხარი მამა, რამ დაგღალა და 2000 ლარს მოგცემ...

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




*დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სოხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge